



მაკა ჯოხაძე

ისკარიოტის ეკლესია

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

თვე თვეს მისდევდა, წელიწადი წელიწადს. ზრუნვასა და სიმშვიდეში იზრდებოდნენ ბიჭები. ისკარიოტის ცაზე იშვიათად იკრიბებოდნენ სავდრო ღრუბლები. ძირითადად ნათელი, ხალისიანი დღეები იდგა და წლის ოთხივე დრო, როგორც მდინარე ჩვეულ კალაპოტში, მსვლელობას განაგრძობდა. მუდმივმა ოჯახურმა სითბომ და სიმყუდროვემ თითქოს დააცხრო ეჭვიანი იუდას ვნებები. თითქოს აბიგაილის დაპირებაც ახდა. პატარა ანანიას იუდას სახით მართლაც გამოუჩნდა მფარველი. მფარველობა, თავისთავად, ძლიერებასაც გულისხმობდა და ბიჭის პატივმოყვარე ბუნებას, ისე რომ, გარეგნულად არ იმჩნევდა, ეამაყებოდა მისი ძალის აღიარება.

გადიოდა წლები... ანანია, რა ხანია, აღარ იწვავდა აკვანში და როველს კედრის ხისგან მისთვისაც გაეთალა მაღალი, რიკულებიანი საწოლი. დილაუთენია ლოგინიდან წამომხტარი, კუდში დასდევდა უფროს ძმას, ყველაფერში მის მიბაძვას ცდილობდა. განსაკუთრებით ტბასთან დგომა უყვარდა, შურდულივით გატყორცნილი კენჭების წყლის ზედაპირზე სრიალი.

იუდა კარგად ისროდა, ღონივრად და შორს. ანანიას ნასროლ კენჭებს კი იქვე, ნაპირზევე გაუდოდა ტყაპუნა. სიცილით კვდებოდა იუდა, როცა ხედავდა, უმცროსი ძმის ძალისხმევა და მონდობეზა ყოველჯერზე რა უბადრუკი შედეგით მთავრდებოდა. იგივე შედეგი სხვა თამაშებშიც მეორდებოდა...

II-III

სოსო მეშველიანი

ბარსელონა. გაზაფხული 2020

ის არც შიშს ჰგავდა, არც მოლოდინს გარდუვალ მარცხის, იმ ყველაფერზე ფიქრი ახლა, ღირს, და თან არც ღირს. ყვაოდა ვარდი აივანზე, ჩამკვდარ ქუჩიდან ღია სარკმელში იღვრებოდა სურნელი ცაცხვის.

გაუხშობებულ სუნთქვას ვგრძნობდი და ამის გარდა ვგრძნობდი მთვლემარე მინის სუნით გაჟღენთილ ავდარს. ტაძრის საათი როცა მწუხრზე იწყებდა რეკვას, უმნიშვნელოდღე რალაც დიდის დასასრულს ჰგავდა.

შორს ბორცვი ჩანდა. ბორცვის იქით უცნობი მინა. ძახილი, გულში ჩარჩენილი ეკლად და ხინვად. კედარზე ბუდეს იკეთებდნენ თუთიყუშები, ბორცვებს ქვემოთ კი ცოცხალ-მკვდარი ქალაქი იწვავდა.

ანვიმდა ქუჩებს, ლამაზ ალვებს, უშნო ობელისკს, ძველი განცდები თან მოჰქონდა ზღვიდან მობერილ ქარს, შორეული მოგონების, სადაც სამყარო გადაშლილიყო როგორც მწუხრის საგალობელი.

VIII

ვახტანგ ჯავახიძე

კინალაშ

მაგონდება კაკაბეთის მთვარიანი ღამეები, მთების ლურჯი კამარა და ამნაირი რამეები, სამახსოვრო წუთები და წამები და წამეები, ღვინით სავსე თასები და ჯამები და ჯამეები, წყნარზე წყნარი ოქტავეები, გამები და გამეები, მოციმციმე ბეჭდები და მოკამკამე კამეები, მოცეკვავე მამები და დამები და დამეები, — და მე უნდა დავივიწყო ჩემი სითამამეები: დაწყვილებულ ორეულებს ვერ გავემესამეები, მაგრამ უმალ გამიბევრდნენ ჩემი მარიამეები და მალულა მრავლობითებს ვემაშასადამეები (მაპატიეთ მთვარიანი ღამის კინალამეები!).

IV-V



ანა კორძაია-სამადაშვილი

გოგო

მომხდარი წინაც გაგიძღვება და უკანაც დაგედევნება... სვანური ანდაზა

ჩემმა გოგომ გოგო გააჩინაო, მახარა ჩემმა კაცმა.

კაი-მეთქი. მოვდივარო. კაი-მეთქი. კიდევ ერთი შვილიშვილი გაუჩნდა და მოდის-მეთქი, ლანდას ვუთხარი.

ლანდამ მითხრა, რომ მე ვარ უსულგულო აღამიანი. კაცს შვილიშვილი გაუჩნდა, გაუხარდებოდა, აბა, რა იქნებოდაო. მეთქი, კაი. როგორი დასაფასებელია, ასეთ კარგ დღეს შენთან რომ მოდისო, ლანდამ, და კიდევ რალაცები ილაპარაკა, სათნო სიტყვები, და მეც თავს ვუქნევდი: კაი, ჰო, კაი.

ზუსტად ვიცი, რატომაც მოდის: მისიანები, ცხადია, გიჟებივით ზეიმობენ ახალი გოგოს დაბადებას, ჩემი კაცი კი ვერ სვამს, უფრო სწორად, ვეღარ სვამს, იმიტომ, რომ თავის დროზე კარმით კუთვნილი ორიათას ცხრაასი ლიტრი არაყი უკვე ჩაისხა, და თავი ასე რომ არ უყვარდეს, მკვდარი იქნებოდა, დიდი ხნის. ახლა სხვების სმას გაერიდება, იმიტომ, რომ ნერვიულობს, და თან ჩემთანაც ქულას ჩაინერს.

ამ უკანასკნელი მიზნით — რასაკვირველია; აბა, რა სალაპარაკო ესაა? კაცმა მითხრა, ჩვენ ახალი გოგოს სახელზე ვფიქრობთ და მოდი, შენც ჩაერთო.

ეს „ვფიქრობთ“ ბოლოს მიღებს. „ჩვენ ვფიქრობთ“, ანუ ფიქრობენ ჩემი კაცი, მისი ოცდასამი წლის წინ გაცილებული და მას მერე ორჯერ გათხოვილი და ამჯერად კვლავ ჩემს კაცთან დაბრუნებისთვის მებრძოლი ცოლი, შვილები, რომლებიც ჩემს კაცს მას მერე შეუყვარდნენ ასე თავდავიწყებით, რაც იმათაც შვილების გაჩენა დაინყეს — გაუთავებლად! ბოცვრებივით! — და იდიოტი სიძე — კაცი თვითონ ამბობს ასე, მე თვალით არ მინახავს — და მახინჯი რძალი — ეს გოგო ვნახე და მართლა მახინჯია, ღმერთო, მაპატიე, და სულელიცაა, იმიტომ, რომ ვერ ხვდება, რომ მახინჯია, და მზეთუნახავივით იქცევა. სწორედ ამ შესანიშნავი რძლის გაჩენილი შვილის სახელზე უნდა გვემსჯელა მე, ჩემს კაცს და საწყალ ბებიაჩემ ლანდას.

VI-VII

ჯუანშერ ტიკარაძე

მოდი ნუ ვილაპარაკებთ ტყუპისცალ დღეებზე ნურც ტყუპისცალ ღამეებზე ვილაპარაკებთ

მოდი ნუ ვილაპარაკებთ გარდარეულ სიყვარულზე ნურც ნამთქნარებ სექსზე ვილაპარაკებთ

მოდი ნუ ვილაპარაკებთ ბავშვობაზე ნურც სიბერეზე ვილაპარაკებთ

მოდი ნუ ვილაპარაკებთ სიკვდილზე ნურც სიცოცხლეზე ვილაპარაკებთ

მოდი უბრალოდ ვილაპარაკოთ ან უბრალოდ გავჩუმდეთ

მოდი გავჩუმდეთ და ისე ვილაპარაკოთ

მოდი გავჩუმდეთ და მოდი ვილაპარაკოთ

IX-XIII



დასაწყისი პირველ გვერდზე

ახოვან ნაბლის ხეს მიმაგრებულ ფიც-რის სანიშნე იუდას ნასროლი ისრები ზუსტად და ღრმად ესობოდნენ, მათი ამოდება გარკვეულ ძალას მოითხოვდა (არც ისე იოლი იყო). ანანია კი სულ ახლო მანძილიდანაც ვერ ახერხებდა ნიშანში მოხვედრას, მისი ისრები მიზანმიუღწევლად იქვე, ნაბლის ძირში, ცვიოდნენ.

— მეც მინდა, შენსავით ღონიერი ვიყო... მასწავლე, როგორ ისერი! — ყელგამონვდილი ევედრებოდა პატარა ანანია. იუდას თითქოს არ ესმოდა ძმის ხვეწნა-მუდარა, არ პასუხობდა, ზურგს აქცევდა. მის მეომრულ, მამაკაცურ ღირსებას არაფრად აგებდა. ამის შემყურე დაბმული ძალი ჯაჭვის განყვეტას ცდილობდა, მჭექარედ, მიჯრით ყეფდა. ძალღერ ენაზე ენერგიულად გამოხატავდა გულგრილობისადმი პროტესტს.

დამფრთხალ იუდას უკან მიხედვის ემინოდა. ზურგი უხურდა და ყურებიც ერთიანად ეწვოდა. ბრაზით დასუსტულს ერთი სული ჰქონდა, ბებერი ქოფაკი იქვე, ანანიას თვალწინ, მოეხრჩო. ვერ ბედავდა, რაღაც აკავებდა. შეურაცხყოფილი იხტიბარს მაინც არ იტყებდა. გამარჯვებულის დამცინავი იერით იქაურობას ტოვებდა.

სამაგიეროდ, უსიტყვო ჩაგვრის არაერთგზის შემსრე როველი უყვავებდა და აიძვებდა შვილს:

— მოიცა, ანანია, ცოტაც მოიცადე, გაიზრდები, მოლონიერდები, გაინაფები და ნახავ, იუდას ყველაფერში აჯობებ...

„გაიზრდები და ყველაფერში აჯობებო...“ ძალის ყეფა რა მოსატანია, ეს სიტყვები უროსავით პირდაპირ თავში ურტყამდა იუდას. მისი დამფრთხალი, გაზვიადებული ნარმოსახვა ხშირად ნარმოიდგენდა გაზრდილი ანანიას ზორბა სხეულის ქვეშ მოქცეულ საკუთარ თავს. საშინლად ითრგუნებოდა იმის გამო, რომ ახლა უკვე როველის დანაპირები სრულდებოდა. დრო გადიოდა და უჩვეულოდ ტანაყრილი უმცროსი ძმა უკვე მიზანშიც ახვედრებდა და მის ნასროლ კენჭებსაც თითქმის შუა ტბაში გაუდიოდა შხული.

„გაიზრდები და ყველაფერში აჯობებო...“ ეს იმას ნიშნავდა, რომ ცხვრის მოზრდილ ფარასაც საპატრონოდ მას მიანდობდნენ და კაკლის ბერტყვისას ნაყოფის შეგროვებაც მისი მეთვალყურეობით მოხდებოდა. რთველში მონეული ნითელი თუ ქარვისფერი ყურძენიც ანანიას ხელით ჩაიყრებოდა სანახაელში, საგულდაგულოდ დაბანილი, ვარდისფერი ტერფებით ჩაჭყლეტილი მტევნები, დანურული გადმოდინებოდა ღარიდან.

ყველაფრის ბატონ-პატრონი და მოურავი გაზრდილი ანანია გახდებოდა, იუდა კი არაფრის მქონე და მისი ხელის შემყურე...

ამიტომ თამამი და თავისუფალი ანანია არ უნდა გაზრდილიყო. ყოველ წამს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა დაეჩაგრა და დაეთრგუნა ძმის ჯერ კიდევ უჩინარი შესაძლებლობები. მერე რა, რომ თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი უკვე საოჯახო მეურნეობასაც, მამასთან ერთად, მუყაითად უძღვებოდა. მის შემხედვარე იუდას გული ბოლმითა და შურით ევსებოდა... მთავარი მაინც ის იყო, რომ უფროს ძმას უმცროსში საკუთარი ძალის რწმენა ჩაეკლა, აბუჩად აეგდო, გაეტყუა და დაემცირებინა.

სრომამი გართულ ბიჭს მოულოდნელად ნამოარტყამდა ხოლმე თავში. ან წყლით საეცე მომცრო სათლეს რომ ეზიდებოდა, ისე ძლიერად გაკრავდა ხელს მზარზე, რომ ნონასწორობდაკარგული და ფეხებგალუმპული ანანია ხელახლა ბრუნდებოდა წასთან. ფერდმაც არაერთხელ მოხვედრია უფროსი ძმის მუჯლუგუნო... გამნარეზული ანანია ვერ ხვდებოდა ძმის ნაკციელს, განაცხებულ შეწყურებდა სახეში. იუდას ბოროტი გამოხედვა ასეთ დროს უსწრაფესად იცვლებოდა უმანკო ღიმილით. ამ ღიმილისა უფრო სჯეროდა და ეიმედებოდა ანანიას, ამიტომ თითქმის ყოველთვის პატიობდა ძმას უდიერ გამოხტომებს. მშობლებისთვისაც არაერთხელ უთხოვია, რომ მის გამო უფროსი ძმა არ დაესაჯათ.

ადრეული შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს მამულში ჩასული ანანია ისეთი გაოცებით ათვალისწინებდა მის მიერ აგებულ ფორმამიცემულ ზვინებს, მოქანდაკე რომ აკვირდებდა საკუთარი შემოქმედების ნაყ-

ოფს — უცნაურად გაცოცხლებულ თიხის ფიგურებს. ბევრი რამის კეთება შეეძლო უკვე პატარა ანანიას, მაგრამ კაცბივით ჩამწყვირებული ზვინების ყურება რაღაც უჩვეულო, იმედიან სიამოვნებას გვრიდა.

მოულოდნელად, საიდანაც გაჩენილი იუდა ისე დაბზრიალდა და ყოველ შემობრუნებაზე ისე გახელებით დასცხო თივის ჯუჯა კაცებს ნიხლები, რომ რამდენიმე დღის ნაშრომ-ნაჯაფარი ზვინები წელში გადატყუა.

გაოგნებული ანანია ბავშვური მრისხანებით მიიჭრა იუდასთან და უყვირა:

— რატომ?! იუდა დაიბნა.

— რატომ?! — უყვირა მეორედაც და როცა ამჯერადაც ვერ მიიღო პასუხი, უფროს ძმას გამწარებით დაუშინა მუშტები.

დამარხვას ველარ მოასწრებდა. სასწრაფოდ უნდა გასცლოდა აქაურობას. გაპარვამდე მინის ნაცვლად თივა მაინც უნდა მიეყარა ცხედრისათვის, დრო რომ მოეგო, რაც შეიძლება გვიან რომ აღმოეჩინათ მკვდარი ბიჭის სხეული.

ნაკციული ზვინებიდან რის ვაივაგლახით გამოაძრო გრძელი, მსხვილი სარები და დაშლილი თივა ბლუჯა-ბლუჯა დააყარა ძმის ჯვრაც თბილ სხეულს. თივის გულს შერჩენილი ნედლი სურნელი მშვიდად მოეფინა იქაურობას და სისხლიანი ბრძოლის ველი უკვალოდ გააქრო.

გაკციების წინ მიდამოს ერთხელ კიდევ მოავლო თვალი. გულიწყვეტა იგრძნო, უფრო იმის გამო, სამუდამოდ რომ ემშვიდობებოდა აქაურობას.

ნაყოფით დამძიმებული ვაშლისა და

მაკა ჯოხაძე

ისპარიოტის ეკლესია

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



— რატომ?! რატომ... რატომ?! — ისე ღრიალებდა და ისტერიულად იმეორებდა ერთსა და იმავეს, თითქოს ამ შეკითხვით მთელი განვლილი წლების ჩაგვრასა და შეურაცხყოფაზე ითხოვდა პასუხს.

მოულოდნელი ჯანყით დამფრთხალი იუდა თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ეშინოდა, არავის გაეგონა ანანიას ხმა, შუაგულ მამულში განგამის ზარივით რომ რეკდა. იუდას თავში უღმობელი სისწრაფით გაჩნდა ფიქრი, რომ ამიერიდან აღარ არსებობდა მისი მოყვარული და მისით აღფრთოვანებული მორჩილი ძმა. ბიჭი ეს ნუთია, ვათავისუფლდა მონობისაგან. ასე რომ, უმცროსი ძმა აღარც მეგობრად ეყოლებოდა და აღარც შემწედ მშობლებთან. პირიქით, ამიერიდან ანანია ყველაფერს იღონებდა, როველი და აბიგაილი მტრად რომ განეწყო იუდასადმი. ამით კი საბოლოოდ დაკარგავდა იმას, რისი დაკარგვისაც ასე ეშინოდა...

გონებადაბინდული მივარდა და ცალი ხელით გაკავებულ ბიჭს მეორე ხელისგული მთელი ძალით დააჭირა ტუჩებზე. გაცოფებული ანანია ხელიდან დაუსხლტა. მრისხანე და გულამოვარდნილი უფროს ძმას თვალს არ აცილებდა, ახლა უკვე ყვირილით კი არა, ღრიალით ითხოვდა პასუხს. მაღალ კისერზე მრისხანების ძარღვები ღურჯად დაბერვოდა. უცებ რომელიღაც მოხუცი ხის ამოყრილ გლუვ ფესვებზე ფეხი დაუცურდა და ნაიქცა. ანანამ ნამოდგებოდა, იუდამ მოასწრო, ისევე, ანაშალ მინაში, მოზრდილ ქვას დასწვდა და ნაკციულ ბიჭს მთელი ძალიანით პირდაპირ საფეთქელში დასცხო...

ღვარვივით გადმომსკდარი სისხლის დანახვაზე იუდა თითქოს გონს მოეგო. ქვა ჯერაც ხელში ეჭირა, გადაგდებდა არც უფიქრია. თითქოს მოპარული, ძვირფასი ნივთივით, არ იცოდა, სად დაემალა...

ანანიას სიმწრის ღიმილი შერჩენოდა სახეზე. ღიად დარჩენილ თვალებში გაოცება ჩაყინულიყო. იუდამ მზერა აარიდა. მოეჩვენა, რომ მკვდარი ანანიაც იმუქრებოდა.

ატმის ხეები უტყვი მონმეებივით ანათებდნენ. კომპის ხაოიან გუნდებს მთვარის შუქჩრდილები ფითრვით მოსდებოდა, ჩამუქებული, ღონიერი ტოტებიდან ფერდაკარგულები იცქირებოდნენ. ვენახში ჩამდგარი ვაზის მწკრივები, თითქოს ვილაცის ნიშანს ელიანო, მეომრებივით გაყურსულიყვნენ. რომელიღაც აბეზარი მწერი გაბმით ბზუოდა — ისეთი არაფერი მომხდარაო, ეთერში ლივლივითა და ზუზუნით მკვლელს ჭალისკენ მიაცილებდა. აფორი-აქებულ იუდას ეს ხმა რაღაცნაირად ამშვიდებდა, საფრთხის მოლოდინს უქარწყლებდა და შეუმჩნევლად გადაჰყავდა ტბისაკენ.

უჩვეულოდ ნელა, რაღაც უცნაურად ბინდებოდა. აბიგაილის მომზადებული ვახშამი ისეთ სურნელს აფრქვევდა, მაძლარ კაცსაც კი მადას აუშლიდა და ნერწყვს მოადენდა.

როველს საჩიხეში უკვე შეერეკა მთელი დღის ძოვით ფერდებდატიკნული საქონელი. ქანდარაზე ჩამომსხდარი ქათმებიც აღარ კრიახობდნენ. ძილის წინ სიბნელეს თვალს აჩვევდნენ, მკვეთრი მოძრაობით თავებს აქეთ-იქით ატრიალებდნენ. როველმა რამდენიმე, ჯერ ისევე თბილი კვერცხი საბუდრიდან ფრთხილად ამოიღო და ნაღის კარიც გამოიხურა.

პალატში სწორედ იმ დროს შევიდა, როცა აბიგაილმა ნაკვერჩხლებზე შემწვარი ჭყინტი სიმინდის გადმოლაგება დაიწყო. ყოველ ჯერზე, ცხელ ტაროს ხელს რომ გაუშვებდა, ჩუმი ვიშვივით დაფუფქულ სამთის ყურზე იტაცებდა და სიცხის გამონელებამდე ბიბილოს სრესდა.

— აბიგაილ! სანამ მართლა არ დაინგები, ეტყობა, ვერ მოისვენებ! — მკაცრად შეუძახა როველმა და თითქმის მამინვე დაუყვავა, — რამდენჯერ გითხარი, კარტოფილი და სიმინდი, აი, ამით გადმოიღე, — ხელში რკინის მოგრძო ორკბილა ჩანგალი ეკავა და ქალს ბავშვივით ტუქსავდა.

— ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ხომ გაგიგია... — სიყვარულით თავი იმართლა ცოლმა და ბოლო (სურნელივანი) ტაროც ღიმილით დადო ხის მომცრო გობზე.

— ბიჭები სად არიან? — დაანია ეზოში ხელის დასაბანად გასულ მეუღლეს.

— არ ვიცი, ალბათ, ისვენებენ ზევით.

ტილოზე ხელისმშრალებით კარში გასულმა ქალმა შვილებს ასძახა:

— იუდა! ანანია!.. ჩამოდით დროზე, ვივახშმოთ!..

ჩვეულებისამებრ რომ არ გამოეხმაურნენ, კიდევ ერთხელ დაუძახა ბიჭებს. არც ამჯერად შეეხმაინდა და ქალი კიბეს აუყვავა.

— მოიცა, აბიგაილ! პერანგი მაქვს გამოსაცვლელი, ბარემ ავდივარ...

აბიგაილი პალატში შებრუნდა. სპილენძის თხელ ჯამებში ხახვითა და ნივრით შეკმაზული ოსპის გადმოღებას შეუდგა. ზეითუნის შავი მარცვლები საკუთარ წვენში გიშრის თვლებივით ბზინავდნენ. გრძლად ჩაჭრილ ქორფა კიტრებთან ერთად დიასახლისს ლანგარზე ქარვისფერი ყველის ნაჭრებიც დაეწყო. ცალკე, ფრიალა სინზე კი, მოხარბული კვერცხების ირგვლივ, მწვანე ზეითუნის დამწნილებული მარცვლები ჩაყარა. სუფრის შუაში კალათით ჩადგმულ ეს-ესაა ამოყრილ ლავაშებს ჯერ ისევე ალმური ასდიოდა და ის იყო თიხის დოქით გრილად შენახული ღვინოც მაგიდაზე შემოდგა, რომ კარში ოდნავ შემცბარმა როველმა შემოჰყო თავი.

— სად უნდა იყვნენ, აბიგაილ, ზევით არ არიან?!

ამის გაგონებაზე ქალმა რაღაცას გაუშტერა თვალი. მერე წამით ქმრის სახეზეც შეაჩერა მზერა და ისე, რომ არაფერი უთქვამს, ხეივანისკენ აიღო გეზი. მრგვალ ბლემში, ცრუ საფლავთან, დაიგულა ბიჭები. „ღამდება უკვე... სხვაგან სად უნდა იყვნენ“ — ფიქრობდა აბიგაილი და გამალებით უცემდა გული.

ბინდის უცნაურ მდუმარებაში შეუმჩნევლად ირხეოდნენ იასამნები... აბიგაილს მოეჩვენა, რომ რაღაც იცოდნენ, ამ რხევით რაღაცაზე მიანიშნებდნენ იასამნის მძიმე ტევრები.

— ანანია! — დაძახება სცადა, საკუთარი ხმის უმწეობამ დააფრთხო, — ანანია! იუდა! — უფრო ღონიერად, უშიშრად გაისმა სივრცეში და ბზის მკვირვ ბუჩქებს გაააფრუოლათ, ტანმა თუ უგრძნოთ, დედის სასონარკვეთილ ძახილში უბედურების წინათგრძნობა რომ იწყებდა ღელვას, — ანანია! იუდა!.. ანანიასა! — განწარებით ყვიროდა აბიგაილი, აქეთ-იქით იქნევდა თავს, კრახანებვით შესულ ბოროტ ფიქრებს იცლიდა. მსხლისა და ქლიავის ხეებს აწყვებოდა. ბოლოს ღელვის ხესთან შეჩერდა. შიშველ თეთრ ტანზე ხელისგულს უსვამდა, ეფერებოდა, ღონიერ ტოტებზე ეპოტინებოდა, თითქოს ბიჭებს მოხუცი ღელვის ფოთლებში დამალვა და გაუჩინარება შეეძლოთ. თითქოს ხეებთან ამ უტყვი დიალოგით ფარდა უნდა ახდოდა ძმების საიდუმლოს, ასე რომ არ დაინდეს და შეამინეს დედა.

როველი ჩირაღდანს მოაბრიალებდა და შემფოთებას არ იმჩნევდა. შუქში გახვეულ აბიგაილს წინათლემ თვალი მოსჭრა. შეშინებულმა ქმარს ისე შეხვდა, რაღაც საშინელების გაგებას ელოდა მისგან.

— აბიგაილ, რამ გაგაგვიყა?! — განგებ შეუყვირა, ქალის აცახცახებული სხეული მარჯვენა ხელით გულში ჩაიკრა, ჩირაღდნიანი მარცხენა განზე გასწია და წამით გარჩევა გაუჭირდა — რომელი იყო ქალი და რომელი ცეცხლი. აბიგაილიც ცეცხლივით ბრიალებდა, მისი სახის ნაკვეთებიც ჩირაღდნის ალივით ხან გრძელდებოდა, ინელებოდა და იშლებოდა, ხან ფორმამიღებული თავის თავს უბრუნდებოდა...

კაცმა ისეთი თავბრუსხვევა იგრძნო, წონასწორობა დაკარგა, ჩირაღდანიც და მკერდზე მიკრული ქალიც კინაღამ ხელიდან გაუვარდა... უცებ იისფერ ნათებაში ანანიას ხატება დაინახა. ჯუჯა ზვინზე ამძვრალი ხალისიანად რომ ტყეპნიდა მამისგან ორკაპით აწვდილი თივის ახალ-ახალ წყებას. როველს იმედი მიეცა და მეუღლეს მხნედ შესძახა:

— აბიგაილ, მამულში შერჩებოდნენ ბიჭები...

— მამულში... — გაიმეორა ქალმა.

— ჰო, მამულში, ბოლო ხანებში ხშირად ჩადიოდნენ ვენახში ერთად.

— ვენახში... ერთად... — უცნაურად

დამარცხდა და განელა ქალმა სიტყვები. კაცს მის გაუცხოებულ ხმაზე წლების წინანდელი სურათი დაუდგა თვალწინ: თავსაბურავში გახვეული კალათა ცეცხლ-ნაკიდებული პატარა ხომალდით მიცურავდა გენესარეთის ტალღებზე...

მამინაც ასე თუთიყუშით, უაზროდ კენკავდა მეუღლის თითოეულ სიტყვას აბიგაილი...

როველი იმედინი მიზანსწრაფვით მიჩქაროდა ვენახისაკენ. უკვე ჩამოღამებულ მიდამოში ჩირადდნით მიიკვლევდა გზას. მარცხენათი ცოლის მტევანი ჩაებლ-უჯა, ისე ძლიერ უჭერდა ხელს, ამკარად ემინოდა, არასად გაქცევდა ქალი.

კაცმა ზევით აიხედა, თითქოს ცისგან ელოდა შველას. მთვარე არსად ჩანდა, მაგრამ მისი სხივების ცივი ანარეკლი სუდარასავით ეფინა ვენახს. ბნელ სიჩუმეს მოეცვა არე-მარე. ძახილს აზრი აღარ ჰქონდა. შეამცინა. მდუმარედ იდგნენ მცირე ხანს, თითქოს სიბნელეს აჩვენებდნენ თვალს. ჭიდან მოშორებით, შიშველ ტაფობზე, დაურბევლად გადარჩენილი თივის ერთადერთი ზვინი მოდარაჯე კაცივით ამოიზარდა. როველმა აბიგაილს ხელი უშვა, ოდნავი ბიძგი უკან დახია. თვითონ გამალე-ბული გულისცემით მიუახლოვდა ჩვენებს. ხელისგულით შეეხო. უცნაურმა სითბომ და სიმშვიდემ ერთად დაუარა მთელს სხეულში. თითქოს გაუხარდა წვედიადში შედედებული მოჩვენება ზვინი რომ აღმონდა და არა ადამიანი. იმავე წამს ელ-დანაკრავივით უკანდახეულმა ჩირადდანი პირდაპირ ფერდში ატაკა ზვინს. ზვინი კაცივით შეტორტმანდა. გამომშრალი ბალახიდან ზანტად დაიძრა მხრჩოლავე ბოლის წვრილად დახვეული ნაკადი, თანდათან გაიფუყა, გაფართოვდა და ზვინი კვამლის სქელ ნისლში ჩაძირა.

სიჩუმეში მკვეთრად ისმოდა ხმელი თავთავების წკაპა-წკუპი. თივამი დაბუდებული სიმზურვალე მოულოდნელად აფეთქდა და ზვინი ცეცხლის ალში გახვია. ისეთი ძლიერი ნათებით გიზგიზებდა, მთელი კარმიდამო ხელისგულივით ჩანდა. გაშემ-ებული აბიგაილი ადგილიდან არ იძვროდა. როველი კი ჩქარობდა, ემინოდა, ისევ სიბნელეს არ მოეცვა იქაურობა. ნაქცეული ზვინების გარშემო მიმოფანტულ თივის ნაგლეჯებს ფეხის წვერით ფრთხილად სინჯავდა. ერთ-ერთ გროვასთან მკვრივი შეხება იგრძნო და მუხლებზე მოცვილი-ლივით დაეცა... ბლუჯა-ბლუჯა აქეთ-იქით გაქექა თივა და სისხლი გაეყინა, ანანიას ცივი მზერა პირდაპირ გულზე ეცა...

აბიგაილი ხან მოგიზგიზე ხანძარს მიმტერებოდა, ხან შვილის ცხედართან ჩაჩოქილ მამას და მთელ ხმით კიოდან... ეს კივილი არავის ესმოდა აბიგაილის გარდა.

ახლა მთავარი იყო, აქაურობას სწრაფად გასცლოდნენ. ხანძარს თუნდაც მთელი ვენახი გადაეუგა. მთავარი იყო, ბიჭის სხეულს მაინც გაფრთხილებოდნენ, მკვდარი შვილი მაინც გადაეჩინათ.

ხელშიატატებული ანანიათი კაცი ისეთივე მიზანსწრაფვით გარბოდა მამულ-იდან, როგორითაც სულ რამდენიმე წუთის წინ ცოლთან ერთად ხელჩაკიდებული ჩარბოდა ვენახში. აბიგაილის კივილს ზეცა ჩამოჰქონდა, ოღონდ მინაზე არავის ესმოდა ეს გოდება. თვით როველსაც აღარ ესმოდა აბიგაილის.

იუდა ერთ მიზანს ჰყავდა შეპყრობილი, დროზე გაცლოდა იქაურობას, გადაეცურა გენესარეთი და როგორმე კუნძულამდე მიეღწია. ნაპირზე გადასული ყველაფერს დავიწყებას მისცემდა, როგორც ცეცხლს აძლევენ ნივთმტკიცებებს დამნაშავენი...

მით უფრო დამნაშავედ თავს არ თვლიდა, ჯერ ახალგაზრდა იყო, არ იცოდა, რომ ვერანაირი ცეცხლი ხსოვნის ხეივანს ბოლომდე ვერ გასწვდება. ყოველშემთხვევაში თვით დანაცრული, ფერფლადქცეული მოგონებაც კი სადღაც სიღრმეში, გულისგულში ხსოვნის ნაპერკკალს ინახავს.

ნიჩბის ყოველ მოსმაზე ტალღის შრიალი ისე აკრთობდა, თითქოს ნავს ხელჩაჭიდებული მდევარი მოცურავდა, მოსდევდა წყალდანყალ. უმცირესი ჩქამი გულს უხეთქავდა, ბოლოქარი ტალღის გუგუნად ჩაესმოდა. ცივისსხლიანი მთვარეც მაცდურად ატყუებდა, გზას გინათებო, არადა, უთვალთვლებდა, როგორც მამინ, ბა-

ევშობაში, ფეხშიშველა რომ იდგა ჩვილი ანანიას აკვანთან და ბიჭის გათოშილ არსებაში ჩასრიალებულ მზაკრულ განაჩენს ხელს უშლიდა, აფერხებდა...

იუდა ბავშვი აღარ იყო. წლობით ნატარები განზრახვა უკვე მოეყვანა სისრულეში. აღარც მეტოქე ჰყავდა და აღარც მამისეული ქონების მენილე... მაგრამ თავადაც ხომ დაკარგა ყველაფერი. უკან ველარასოდეს დაბრუნდებოდა. როველის შუათითზე წამოცმულ აქატისთვლიან ვერცხლის მსხვილ ბეჭედს ველარ შეავლებდა ხარბი ნადილით თვალს. ვერც აბიგაილის სამაჯურების მათრობელა წკარუნი დაახვევდა თავბრუს, ვერც მეორე სართულის განაპირა ოთახში შეიპარებოდა გულისფანცქალით, სკივრის სამალავში როველის მიერ ჩაყრილი მონეტებისათვის რომ ამოველო პეშვი, ვერცხლის მდინარის ბრჭყვი-ალა ჩხარუნით მზერა და სმენა რომ დაეტკობო... მერე კი კიბის ყოველი საფეხური ამყავდა ჩამოვლილი დაიმედებულს — სულ მალე, მთელს იუდაში ყველაზე მდიდარი მემკვიდრე გახდებოდა...

ყველაფერს წყალი გადასხმოდა. იუდა შიშს მოეცვა — საიდუმლო არ გამჟღავნდესო. თუმცა გულში იმედი ჰქონდა, რომ ეს საიდუმლოც ისევე დაიმარხებოდა, როგორც წარსულმა დამარხა ანანიას საყვარელი ძაღლი, ოდესღაც ქვებით სავეტომარში რომ შეიტყუა, ძაღლისძალით ჩაჩურთა და თოკით თავმოკრული გენესარეთის ტბაში გადაუძახა. ჩაძირვამდე ძაღლის უმზეო ფართხალს რომ ჰკიდა თვალი, ზიზღით გაიფიქრა: „ისე დაბერდა ქოფაკი, ველარც იყფებდა...“

მთელი კვირა ამოდ ეძებდა ისკარიოტის მტვრიან შუკებში ერთგული მეგობრის კვამლისფერ ზურგს ანანიას. კვამლივით გამქრალიყო, გაფანტულიყო მისი აჩრდილი ქალაქის შემოგარენში... მიწამ ჩაყლაპა თუ ზეცამ?! ვისთვის უნდა ეკითხა, ვინ მისცემდა პასუხს... ერთხანს ცაში ყურება დასჩემდა, თითქოს იქ ეგულებოდა გამქრალი მეგობარი... იქნებ ხუჭუჭა ღრუბლებს მიაცილებდა, მტაცებლისაგან იცავდა ფარას... „ნეტა ცაშიც არიან მტაცებლები?!“

— რა იყო, ანანია, რას მოგიწყენია, გენატრება შენი ქოფაკი? — ეკითხებოდა უფროსი ძმა.

მწუხარებით სავსე ანანია დაცივნვას ვერ გრძნობდა, გულწრფელად უქნევდა თავს და მენატრებო — უდასტურებდა.

— მიწაზე ეძებდი, ახლა ცაში ეძებ... იქნებ ტბაშიც შეგეცურა და იქ მოგექცნა, — ფრთხილად შეაპარა იუდამ.

— ტბაში?! — ბიჭს თვალები გაუფართოვდა.

— ჰო, რა იყო, რას დაგიწყენია თვალები?!. მოწყინდა შენს ქოფაკს სიბერე და ტბაში დაიხრჩობდა ალბათ თავს... შენ რა, გგონია, რომ ცხოველები თავს არ იკლავენ?..



ეს უცნაური შეკითხვა დიდხანს უღრღნიდა ანანიას გულს. განსაკუთრებით ღამ-ღამობით აფორიაქებდა, აწვალებდა... თავი რატომ უნდა მოეკლა, მე ხომ ასე მიყვარდა და ვუვლიდიო. დარდს გულში იკლავდა, არავის უმხელდა. ამ შეკითხვის შემდეგ ხშირად იდგა ხოლმე საიდუმლო ბურუსით მოცულ ტბასთან და შორეთს გასცქეროდა. დრო ტაატიო, ნისლივით მიედინებოდა.

მშვიდი იყო გენესარეთი, მშვიდად ელამუნებოდა ბიჭის გულსაც. ძლივს შესამჩნევი ტალღების შრიალი ბავშვის დარდიან ჭრილობას პირს უკრავდა და დაკარგვის ტკივილს თანდათან ამუშებდა დრო. უიმედობას იმედი დევნიდა, ნათელი ბნელს ფანტავდა. ოთხფეხა მეგობარსაც ნათელი აერჩია. სინათლის რკალში ჩასმული სურათით შემორჩა ანანიას ბავშვურ ხსოვნას, დროთა განმავლობაში მასთან ერთად რომ გადავიდა მიღმიურ სამყაროში...

იუდას უკვირდა, ახლა, ამ წუთებში, ნავით რომ მიაპობდა გენესარეთის ტალღებს, რალა ბიჭი და ძაღლი დაუდგა თვალწინ. რამდენი რამ ენახათ და გადაეტანათ ძმებს ერთად... გონება არ დაუძაბავს, ისე, თავისთავად ამოტივტივდნენ მოგონებები... ყოველ ჯერზე მისგან ნატკენი და შეურაცხყოფილი ბიჭი როგორ გარბოდა ოთხფეხა მეგობართან, განბილებული როგორ იოხებდა მასთან გულს. ძაღლს ისეთი თბილი და ღრმა თვალები ჰქონდა... მასსავით ვერავინ გამოხატავდა თანაგრძობისა და მიტევების უნარს. პატარა ანანია ყველაზე მეტად სწორედ ამის გამო ემადლიერებოდა უტყვე მეგობარს. მიტევება აფხიზლებდა და ამშვიდებდა ერთდროულად. კეფაზე ხელს უსვამდა ჭკვიან ცხოველს, მოჭუტულ თვალებს უკოცინდა. აკრუსუნებულნი ძაღლიც სველი, ნითელი ენით ლოკავდა და ეფერებოდა, ნკმუტუნით გამოხატავდა მადლიერების, ახლობლობის გრძობას. მათ შემხედვარე იუდას შურის ეკლები ჩხვლტდა, არაერთხელ უფიქრია, „ჩემს თავს ეს ბებერი ქოფაკი უჩრჩენიაო...“

ეჭვის სიბრძავემ, ბრაზმა და შურმა საბოლოოდ გადაწყვიტა სახლის ერთგული მცველის ბედი... გამეტებული და დამხრჩვალნი ერთხანს ხავსივით ეფინა ფსკერის სლიპინა ლოდებზე. მხოლოდ ტბამ იცოდა ძაღლური ცხოვრების დასასრული, ასე რომ ჰგავდა კაცთა მოდგმის აღსასრულს, როცა სიბერეში მოძულეებულს ლუკმას გითვლიან და გაყვედრიან... ამ ტბაში მიცურავდა ახლა იუდა, ეს ტბა იყო მისი მარადიული მესაიდუმლე.

ნაპირზე გადასულმა შვება და სიმსუბუქე ერთდროულად იგრძნო. თითქოს ყველა მისი საიდუმლო ტბამ ჩაძირა. მათ შესახებ ველარასოდეს ვერავინ შეიტყობდა.

მთელი დამე ბამბუკის ქალაში გაატარა, თვალი არ მოუხუჭავს. საცაა ინათებდა და დილის მზე შიშის ნამცვრევებსაც

ააშრობდა. მთავარია, არავის არაფერი შემეჩნია, არავის ეგუზანა წინა დღის ბინდებუნდში ჩადენილი დანაშაული სხვას ყველაფერს მოველებოდა, ყველაფერს აუღებდა ალლოს, ხელახლა დაანყობდა გეგმებს, ხელახლა გაიჩენდა მომავლის მიზნებსა და იმედს.

მზე ამოდისოდა! ახალი დღე იწყებოდა! განახლების წყურვილმა მთელი მისი არსება მოიცვა, ერთბაშად აღუდგინა საკუთარი ძაღლის რწმენა. იუდა თავიდან იწყებდა ცხოვრებას. უკან ისკარიოტი რჩებოდა, მშობლიური, მაგრამ წვედიადით მოცული, საშიში და ეკლიანი ქალაქი. წინ კუნძული ჩანდა როგორც გადაჩრჩენა... უცხო, მაგრამ მაინც მშვიდი და საიმედო.

სამუშაოს ძებნაში არაერთ ოჯახს მიუკაცუნა კარზე. კარგახანს იხეტიალა, სანამ ელინის სახლს მიასწავლიდნენ. მარტო კაცია, ვაჟიშვილი შორეულ მოგზაურობაში ჰყავს ნასული და აუცილებლად აგიყვანს — ურჩიეს კუნძულის მცხოვრებლებმა, უცხო ჭაბუკის მშვენიერი გარეგნობა ასე რომ მოუვიდათ თვალში.

ელინმა ფართოდ გაუღო ეზოს კარი. იუდამ შეწუხებისთვის მოუბოდიშა და სამსახური ითხოვა.

— რა შეგიძლია? — მშვიდად ჰკითხა მოულოდნელ სტუმარს.

— ყველაფერი, — მყისიერად უპასუხა იუდამ.

— ყველაფერი?! — გაკვირვებისა თუ ირონიის ნიშნად წარბები აზიდა კაცმა და მკრთალად გაეღიმა.

— ყველაფერს შევასრულებ, რასაც დამავალდებო... — სულმოუთქმელად წარმოთქვა ჭაბუკმა.

„შია“ — გაიფიქრა კაცმა და სტუმარს ეზოში შეუძღვა. გადააბიჯა თუ არა ზღურბლს, შვებით ამოისუნთქა. ისე იყო დაღლილ-დაქანცული, არც კარმიდამოსთვის შეუვლია თვალი და არც სამზადისში შეპატივებულს დაუწყია ფიჭის სურნელით გაჟღენთილი ვრცელი დარბაზის თვალთვლება.

მასპინძლის მორთმეულ კერძს წყნარად, მოზომილად შეექცეოდა.

„ოჯახშია გაზრდილი“ — ფიქრობდა ელინი და ჭაბუკის დაკუნთულ, ძლიერ მზარ-ბეჭს ალტაცებული იმედით შესცქეროდა. ღმერთს მადლობას სწირავდა, ეს ძლიერი, აღნაგვი ჭაბუკი რომ გამოუგზავნა შემწედა არა ვინმე ბოგანო, უსუსური. დანაყრება აცადა სტუმარს, მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა, სადაურობა ეკითხა მისთვის.

იუდა, ჯერ კიდევ ღამით, ბამბუკის ქალაში მოკუნტული და აძაბაბებული ფიქრობდა, რომ კუნძულზე ასულს უსათუოდ ჰკითხავდნენ ვინაობას, პირველ რიგში, ვინაობას ჰკითხავდნენ. ასე იოლად არავინ შეუშვებდა უცხო სახლში. სულ მცირე ეჭვიც კი მის სანდობას ბოლოს მოუღებდა და კუნძულიდან გააპრავდა ისევე მოუწევდა, როგორც საკუთარ ქალაქს გამოექცა შფოთითა და განგაშით... ამიტომ, როცა ელინმა იჭვით კი არა, ერთგვარი თანაგრძნობით ჰკითხა, სადაური ხარ და რა გაგჭირვებიაო, გამხნეებული იუდა არც კი დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

— ქორაზინიდან ვარ, უმადურებს გამოგვექცი, ჩემი შრომა რომ ვერ დააფასესო... — და რამდენიმე წუთის განმავლობაში ისეთი ვნებიანი გატაცებით ყვებოდა მამინაცვლის სისასტიკეზე, ბავშვობიდან მოყოლებული ასე რომ გაუმწარა უბედურ დედა-შვილს სიცოცხლე, რომ ელინს გული აუჩუყდა. გარდაცვლილ მეუღლესთან ერთად უცხო მხარეში სამოგზაუროდ ნასული საკუთარი პირმშო დაუდგა თვალწინ, რომელიც, ვინ იცის, შორეულ გზებზე რა ჯიშის ხალხს გადააწყდა, რა ხიფათებს გადაეყარა, ამიტომ თუ იგვიანებდა შინ დაბრუნებას ასე.

იუდამ შეამჩნია მძიმე ფიქრებში ნასული ელინი და გრძელი მონოლოგი ისე დაასრულა, თითქოს მის წინაშე პირობას დებდა, თავდაუზოგავი შრომით ცოტადენ სახსარს რომ მოუყრიდა თავს და საცხოვრისს გაიჩენდა, დედასაც ისევე მოსტაცებდა საძულველ კაცს, როგორც თავად გამოაღწია ქორაზინიდან.

გრძნობამორეული ელინი ხმას არ იღებდა, ჭაბუკმა იგრძნო, რომ საბოლოოდ მიიგო მისი გული...



ვახტანგ
ჯავახიძე

ასს გამოვაკლოთ ცამეტი

ისე ვერ ვარ და ასე — კი,
აღარ მანებებს ასაკი,
რამდენის ვარ და — მახსოვან
სტალინი და ნავასაკი,
სოხუმში მახსოვს კახაკი,
ცხინვალში — სხვა ავაზაკი,
ხალხი არა და მასა — კი,
სახლი არა და ბაზა — კი,
დენი არა და ფაზა — კი,
შარა არა და ტრასა — კი,
ბანკი არა და კასა — კი,
კლიტე არა და რაზა — კი,
თასი არა და ვაზა — კი,
სიტყვა არა და ფრაზა — კი:
ასს გამოვაკლოთ ცამეტი —
მე ვარ და ჩემი ასაკი!

რა თქმა უნდა

რა თქმა უნდა, ქაიროში ქოლგა უფრო ძვირია და
რა თქმა უნდა, ქუთაისში ქოლგა უფრო იაფია.
რა თქმა უნდა, ელადაში ფავორშია „ილიადა“,
რა თქმა უნდა, ქუთაისში იისფერი იები.
ციურიხში მილიონი ბევრმა გაამილიარდა,
ქუთაისში ყვავილები ჯერ არ გაგვიძვირებია.
სხვების ბამბა ჩხრიალებს და გახმაურდა,
რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

სუპერი!

აღმოხდა დისკო მთვარის
და, რაც არ იყო, არის:
აგერ გზა ნატახტარის
და სილუეტი ჯვარის,
აქვე ხმაური მტკვარის
და სვეტიცხოვლის ზარის,
ციმციმი კელაპტარის,
სურნელი ყვავილნარის,
აქეთ — რეფრენი თარის,
იქით — დაქტილი ქარის,
პოეტი კოცნის არილს,
აქებს მადლსა და მარილს
და მეზობელი კარის —
მზვერავი არემარის,
შემცნობი უჩინარის,
შიკრიკი უტყუარის
და მაცნე უეცარის —
აქვე აცხადებს: არის!
ჩვენ კი ვეძახით სუპერს,
რაც მხოლოდ გადმა სუფევს.

ალეგორია

მოდით, ესე ორადორიც გავაღვლოთ:
აქეთ დავსვით ორიოდ, იქით დავსვით ორიოდ.
ძველი მათემატიკოსი მოვიზნოთ ნაქები:
რომელია მეტი ანუ რომელია ნაკლები?
ხდება ხოლმე უცნაური დავა ანუ სკანდალი,
როცა ერთიც მართალია და მეორეც მართალი,
ასეც ხდება: ამაოა დიდი აურზაური,
რადგან ორის ბრალი გახლავთ ერთი დანაშაული.

დაობს ოქროს ორდენი და პოეტების ორდენი:
აქეთ — ორიოდები და იქით — ორიოდენი.
თუშეთში კი აღარ სჯერა გავა ნაკუდაიძეს
და სამართალს სტრასბურგში და ჰააგაში დაიძებს.

ენას ვუკიდებ

შიშით ენას ვუკიდებ და მო-მო-მომონს ბა-ბაია
(მომერია, მაგრამ არკი დაფუძახე ბაბაია).
ენას ისევ ვუკიდებ და მი-მი-მიყვარს ბე-ბებია
(ვისაც ტაში ეკუთვნოდა, ტაში შემეგებებია).
მი-მიმინო, გუ-გუგული, ხო-ხოხობი, შო-შოშია
(რაც კი ცოდვა აღირიცხა, ყველა სო-სო-სოსოსია).
კა-კაკალი, მა-მამალი, ნი-ნიწილა, ნა-ნაწალი
(როგორც იქნა, მოვიხელთე რითმა ესე — მანანწალი).
ჩო-ჩოჩორი, ჩი-ჩიჩია, ჩი-ჩიჩინი, ჩე-ჩეჩენი
(არასოდეს შეადართო აისბერგებს მეჩეჩები).
თა-თათარი, თუ-თუთუნი, თა-თათარა, თაფლი-თუთა —
დემონივით მაშანტაჟებს თანხმობანთა ამპლიტუდა.
ტი-ტი-ტიტა, ტი-ტიტინი, ტი-ტიტანი, „ტიტანიკი“:
ვარსკვლავებმა დაიტირეს მთვარის ჭოგრიტიდან იგი.
ტატო, ტიტე, ტერენტი და ტიკ-ტაკი და ტეტ-ა-ტეტე,
ჩვენ ერთ-ერთი გვეგონა და გაიჩია ერთადერთი.
ცი-ციცინო, ყუ-ყუყუნა, შუ-შუშანა, თა-თათია —
ორ-ორია, სამ-სამია, შვიდ-შვიდია, ათ-ათია.
ზა-ზა-ზაზა, გი-გი-გიგი, გი-გიგილო, მა-მამია —
ვალღარებ, ახლა ყველა ჩემზე უფრო თამამია.
გე-გე-შიძე, ჭი-ჭი-ნაძე, კე-კე-ლიძე, კა-კა-ბაძე —
თქვენ კი ველარ გაგაჯავრეთ ანუ ველარ გაგაბრაზეთ.
თქვენ რა გიჭირთ, მიღიხართ და
ცხვრებიც იქით მიგიდიან,
მე კი ენას ვუკიდებ და ცეცხლი მი-მი-მიკიდია.

ნაცნობი მოტივი

აღარ მესალამურება:
მილაღატეს ამურებმა.
აღარ მესალამურება
ლალები და ლამარები.
აღარ მესალამურება
სინაგოგის სამი რაბი.
აღარ მესალამურება
ალუბალი სამურაბე.
აღარ მესალამურება,
აღარ მესალამურება,
და სამუმი სულეთისა
მალე მომესალამურება.

თოგა

გზაზე მრევლი მომრავლდა და ეჭვსაც ველარ მიიტან:
აქეთ — ეკლესიისაკენ! — იქით — ეკლესიიდან!
შენ კი გზები ვერ გათვალე მორწმუნეთა არმადის,
ვინაიდან შენი აქეთ არ მიდის და არ მოდის.
შენ სხვა მხარეს მიაბრუნე ნახევარი პროფილი,
შორიანლო გაიარე გრძელი ნუთისოფელი.
შემთხვევით და უნებლიეთ დრო ამაოდ მოკალი,
ადრესიც არ შეგეშალა, ფეხიც ვერ წამოკარი.
ერთხელ ქუდიც შეგიგდეს და ვერ გადადგი ნაბიჯი,
ვერც მოძღვარი აიტანე, ვერც მსაჯული ნაფიცი.
მაგრამ ველარ გაგრძელდება შენი ცეცხლთან თამაში
ანუ ურწმუნოებანი მეთორმეტე თომასი:
დღეს ღვთაებრივ კომედიას შენთვის სხვა კომიკი ყავს:
აგიყვანს და ნაგიყვანს და სამებაში მიგიყვანს.

ფანჯრაში

ანა კალანდაძისა და
მურმან ლებანიძის ხსოვნას

თითქოს უფალმა იწება, შენც იხილე და იწება:
ორი პოეტის ფანჯრები ერთმანეთს შესცივინებენ.
მაგრამ ეს იყო ოცნება ღრუბლებში მოთამაშეთა:
ერთი აშენდა სახლი და მეორე ველარ აშენდა.
დღეს მთანმინდელი და იგი — უკვდავი დაა ბიჭების
და ორთავენი ღრუბლების ქულაზე დააბიჯებენ.

ზაურ პოლქაძის გახსენება

ბედმა ბედისწერასთან ომობანა წამიგო,
მაგრამ გალაკტიონმა დამიძახა „დამიკო“.
წამზე უფრო პატარა შემეჩერდა — წამიკო:
გამახსენა ვან-გოგის თეო ანუ დამიკო.
მერე ჩემმა მოძღვარმა ვერონეზეს ცა მიქო,
მერე შემომეთარგმნა „ამიგო“ და „დამიკო“.
ბოლოს გამომეცხადა ჩემი ძველი ამიგო
და ელისოს დამიკო.

ოთხმოცის შიმეფა...

თურმე ურქო ცხვარს ჰქვია ხულია,
არ ვიცოდი და უხერხულია.
ვიცი, კორტასარს ერქვა ხულიო,
რომ არ ვიცოდე — უხერხულია.
ისე მეძახის — მინახულეო,
უარისყოფა უხერხულია.
ტატოს შემდეგ და ლადოს შემდეგ და
ოთხმოცის შემდეგ უხერხულია,
უხერხულია, ეს ოხერი,
ოხერხულია.

აპიმი!

ამომსევდა მთოვარე და დამსევდა,
სევდიანმა სააქაო დასევდა,
დაილოცა ზედაშიან ჯამზე და
როგორც ამომსევდა, ისე ჩამსევდა.

ავაიმე, თვალი ველარ მზერს
ჩამსევებულ, ჩამსევებულ მზეს!

**ისევ გალაკტიონი —
„სიკვდილი მთვარისგან“**

არის ნივთი და არის საგანი,
არის არენა და გასაქანი,
არის საგები ანუ საგანი
და მოძღვრებანი უფლისაგანი.
არის დალი და არის შავალი
და ფრანსუაზა არის საგანი
და ფრანსუა და მისი საკანი
და უმონყალო ტყვია — ჟაკანი...
არის სიკვდილი ქალისაგან და
არის სიკვდილი მთვარისაგანი.

გალაკტიონი

დგანან მტკვრისა და სენას ნაპირზე
პოლ გალაკტიონ ვერლენ ტაბიძე.
აქეთ ვანში და არა ვენაში —
მოხუცი მამა დადის ვენახში.
მეტისმეტია და ნამეტანი
ორის და ორთა ჩასვლა მზეთან.
ექოს ირეკლავს ვაშა ვაშათა
ანუ სამება: შოთა, ვაჟა და...
მაგანმა მაგანს შესთავაზა და
გაიმეორა: შოთა, ვაჟა და...
და გადაფასდა სამთა მაზანდა
ანუ გასამდა: შოთა, ვაჟა და...

ნაცნობი მელოდია

მთანმინდა მისცეს კეკეს,
ვაკე — გეგას და გეგეს,
დიდუბეც გადაკენკეს,
ნაცარიც გადაქექეს,
გაყვეს ანტი და ანტი,
არის სალამო ზანტი,
ვარსკვლავებს ითვლის კანტი,
„მე კი გადავში გეგელს“.

იხსენალება

„და გაისმოდა დების სიმღერა“.
გალაკტიონი

იმერეთს ვერიდები:
აღარ მღერიან დები.

მაფიქრებს ნამეტანი:
აღარ მღეროდა დანი.
გავიდა ყველა დატა:
ხმა აღარ ისმის დათა.
საძმო და საოცნებო —
დები ვადიდოთ, ძმებო.

საიტი რუსთაველისა

ზერელე
და არსაითი —
დაკვლიანდა საიტი:
გავიდა ორი საათი,
გავიდა სამი საათი,
გავიდა ოთხი საათი,
გავიდა ხუთი საათი,
გავიდა ექვსი საათი,
გავიდა შვიდი საათი
და —
„ბროლი ბროლდა, სათდა სათი“.

გურამიშვილი ჩიოდა

გურამიშვილი ჩიოდა: წამომეპარა ლეკიო,
რუსებმა მზე მომანატრეს და ჟამი უელეგო,
ვინატრე: ნეტავ რუსებმა პრუსები წამალეკიონ:
მე ერთი ვიყავ — დავით — და სახელი მათი — ლეგიონ!

ფიროსმანი გამახსენდა

სამი დღეა, ერთადერთ სტრიქონს ვეჩალიჩები,
ალბათ ფიროსმანივით დამელაღა ნიჭები,
ველარც ქრთამი მიშველის, ველარც მალარიჩები,
მეტი რა დამრჩენია: თოხი ანდა ნიჩაბი!

დაუნდოპალი პიკასო

არ დაინდო პიკასომ მშვენიერი ჟანა:
პროფილი და ანფასი გაუერთიანა.

1937

იცრემლება რეკვიემი, არია და არიოზო,
მრევლი ოხრავს: ეშმა ლამობს მონასტერი არიოსო.
სამიზნეზე აიყვანეს წმინდა საკათალიკოსო,
მრავალს სახლი ენატრება და ფანჯრები უფისოსო.
ვერაფერი დაგიფარავს, რაც არ უნდა შეიმოსო,
არაფერი გემუვლებს, თუნდაც წაიმისტიკოსო.
ვილაც მწარედ იწყევლება: საფლავი არ გელირსოსო!..
ნეტავი რა დაგიშავეთ, ჩვენებთან ბიჭო სოსო?

ბერია — სტალინის მარჯვენა ხელი

და მარჯვენამ გვაუნყა სამი სიტყვა უბრალო:
— Я его убрал-ო.

და გათამამდა მარჯვენა უღმერთო-ურელიგიო:
— მე გავასალე იგიო.

ასაკოვანმა მარცხენამ გვიან გაშიფრა მარჯვენა:
კაენმა კაენს დაასწრო და მაქსიმუმი აჩვენა.

მარჯვენასაც ჩამწარდა სუფრა და ნასუფრალი:
Его тоже убрали.

P.S.

ბერია და ეჟოვი და იაგოდა
ძმანი იყვნენ კაენთა და იაგოთა,
დრომ სასჯელი ღირსეული მიაგო და
მიაქოთა-მოაქოთა-მიაქოთა.

კატა-პულტი-რება

ვოცნებობ: წარმატებულია კატების კატაპულტირება:
მთვარიდან გადმოგდებულიც კი იმგვარად
გადაგვიბრუნდება
და ისე გადმოგვიბრუნდება,
სალი და სალამათი გვიბრუნდება.

ადამიანი ოცნებაშია,
ხოლო ცხოვრება მოსწრებაზეა.

ყველა სასმისი, ყველა ჭიქა, ყველა მათარა
მოსწრებაზეა... ვერ მოასწრო პრინცმა პატარამ.

სცადეს კოსმოსის გაგანივრება
და ვერ მოასწრეს გაგარინებმა.

იყო დრო და ჩვენ უცარი ელდა გველოდა:
ხრუშჩოვს ენადა უფრო დიდი სამფლობელო და
ქართველთა კატაპულტირება საქართველოდან.

ოქტავა

გათამამდა, გათამამდა ოქტავა
და უკვდავი ლამის გაგვიმოკვდავა,
ვაი, ვაი — გვესმის მონოლოგთა ვა
და არნივი გვიყვარს არა ორთავა.

ძვის კოღვა

ვარდიც მიყვარს და იაც,
შენ კი ქვა თავში იეც.
მოგძებნის მენისიეც
და შენ ქვა თავში იეც:
ჯერ ნისიები მიეც,
მერე ქვა თავში იეც.

ჭაჭა

ლექსიკონი წავიკითხე სამგზავრო და საგზაო და
თურმე ადრე ამერიკის პრეზიდენტი ტაქსაობდა.
ერთს ვიცნობდი,
თავის დროზე მიგიყვანდა „მეტროპოლიტან“,
მაგრამ ამას პრეზიდენტის არაფერი ეტყობოდა.
ერთსაც ისე დავაკვირდი, უმალ მხრები აიჩეჩა,
გამეცინა და საღამოს დავაყოლე კაი ჭაჭა.

ხინკალი

იროდიონო-იროდე,
რატომღა უნდა ტიროდე:
ცხელი ხინკალი მოგართვით —
ოთხმოცდაცხრამეტოდღე?!

პირის საათი

კახელი ყიდის ვირს
და მაღლა იწვეს ცხვირს:
ფასს ადებს ისე ძვირს,
მთელი კახეთი კვირს,
ვირი კი საათივით
ყროყინებს ანუ ყვირს.

ანტივირუსი

გადამივიწყეს თვითმფრინავებმა,
გემებიც აღარ მეპიტნავენა,
ნავებიც აღარ მენანავენა,
მატარებლებიც მეცოტავენა
და ვემალები ქუჩაში ნაცნობს,
რომელიც მუდამ მეკოცნავენა.

ეს ცა, ეს ფიერვერკი
მევასება, მაგრამ ვერ კი...
ეს მეუფე, ეს მონარქი —
მომწონს, მაგრამ არ კი... არ კი...
უნყინარი არ ვარ კრავი,
თუმცა რა ვი... რა ვი... რა ვი...
ვიცი, ჩემთან აღარა ხარ,
აღარ... აღარ... აღარ... აღარ...
ახლა ანაბარა ნავებს
უხილავი ანანავებს
და იგივე უხილავი
ყველას გაგვაარავენა.

ბის!

ბისი აღარ მებისება,
აღარც მეზენეფისება,
ბიზე აღარ მებიზეება,
აღარც მეეგებისება,
წარამარა მეტირება,
მაგრამ არ მედეფიზეება,
ბევრჯერ დამასინანულეს
ვაებებმა მეფისებმა,
ტახტის აზნაური ვარ და
მეფესავით მეფისება.

ჭიტა!

მოვაჭენე ტაიჭი და
როცა დამიძახე „ჭიტა!“,
შენს საჩიტე გალიაში
ჩემი ჩიტი გაიჩითა.

ჩემმა ტაიჭმა გზები გალია:
ჩემი ჩიტი და შენი გალია!

გავაფორმოთ ალიანსი:
შემომიშვი გალიაში!

მენდე და ვიდრე გასაგებ
შენდობას შემოგასაღებ,
ნუ დამიმაღავ გალიის
ანუ სამოთხის გასაღებს.

იმნარი იშვიათი
ილეთები ვიცი, დაო,
მინდა შენთან ვიჭიდაო-
ვიჭიტაო-ვიჩიტაო.

მაჯამასავით მადრიგალია
ჩემი ჩიტი და შენი გალია.

შემოუშვი: გაგანათებს,
შემოუშვი: გაგანათლებს,
შემოუშვი: ეგ ოხერი
თვითონ ეძებს კაკანათებს.

შეგვეცნია უფალი და ღვთაება:
ჩემი ჩიტი შენს მახეში გაება.

ანგელოზი ამოფრინდა ჭიდან:
— ჭიტა!

ინტიმურები

მარი

ვევედრები მარის:
— მოვახერხოთ რამე,
ვიდრე არემარეს
მოიპარავს ღამე.

ფლირტი

საუნჯე გადასარევი
განგებისაგან მოგეცა,
შაბათის მათხოვარი ვარ,
მოგთხოვ და იქნებ მოგეცა!

იმერული

ნაზიკია, თუ ძალიან მოგთხოვს გურამიე,
ადექი და — უკაცრავად — დანექი და მიე.

პოდიუმზე

პოდიუმზე ტრაკოსანთა ტურია,
მომწონს ერთი ტრაკის ტრაექტორია.

სეზამ, გაილე!

გული ჰქონდა მხურვალე და თვალები გიზგიზა:
არ გაუღეს კარი და კარზე მიაფისფისა.





დასაწყისი პირველ გვერდზე

კაცმა მითხრა და მართლა ასეა, რაღაც სიგიჟეა: მის სანათესაოში ყველას „ვეფხისტყაოსნის“ გმირების სახელები ჰქვია, ქალიან-კაციანად, ერთი, ჭაშნავიარამდე ვერ დაეცნენ. მე თუ მკითხავს ვინმე, ძირითადად, ქაჯები არიან, ოღონდ „ვეფხისტყაოსნის“ კი არა, ჩემი უბნის გაგებით. ღმერთთა მონმე, ეს არასოდეს მითქვამს, ჩემთვის ვფიქრობ ასე. ახლაც თავი შევიკავე, ტკბილად გავეუღიმე და ვუთხარი, რა დიდი ფიქრი და მსჯელობა უნდა ამას, დაარქვით ფატმანი და მორჩა-მეთქი. ბოზები ოჯახში მოიკითხეო, მითხრა. სრულიად უბოროტოდა.

ლანდა განითლდა. მას „ვეფხისტყაოსანი“ არ ნაუკითხავს, ჩემი მონაყოლით იცის, მე კი ფატმანი ძალიან მიყვარს და მასზე აუგს ნაღდად არ ვიტყვოდი. მე კაცს ვუნოდე ვირი. კაცმა ლანდას ბოდში მოუხადა და გრძლად დაიწყო მოყოლა, ფატმანი რა ქალი იყო, და საბოლოოდ მოვიწყინე.

ჩემთან სახელების საქმე ბევრად იოლადაა. ჩემი სახელი ერქვა ბებიაჩემს, იმის დეიდას, ბებიაჩემის ბებიას და ასე შემდეგ. სულ ხუთი თაობა ვიცი და ყოველ თაობაში თითო მაინცაა ჩემი სახელისა, დედაჩემი გადარჩა მარტო, მაგრამ აგერ ჩემმა უფანტაზიო ძმამაც არ შეინუხა თავი თავისი შვილის ახალ სახელზე ფიქრით. მე ამ ზარმატი ტრადიციით და ჩემი სახელით ძალიან კმაყოფილი ვარ. გამიმართლა, თორემ ჩემი ბედი რომ ვიცი, მამაჩემი ცოტა ჰიპურ — აქაოდა, ხალხის აზრი ფეხებზე მკიდიაო, და ცოტა გერმანულ-პატრიოტულ ამბავში კუნიგუნდას ან ბრუნჰილდას დამარქმევდა და ვივლიდი გაუბედურებული. იღბალზე, როცა გავჩნდი, მამა სად იყო, კაცმა არ იცის, და დედაჩემსაც, ცოტა ჰიპურ და ცოტა კავკასიურ-პატრიოტულ ამბავში, მელანიების ფართო მასები გაახსენდნენ, და დამარქვეს მელანია.

პატარა როცა ვიყავი, მეგონა, რომ ჩვენი ცნობილი ის, პროტომელანია, იყო ულამაზესი, უსათნოესი და უბედნიერესი. მეგონა, ჩემი სისხლის ქალებმა ეს სახელი იმიტომ ამოიჩემეს, რომ იმედი ჰქონდათ, დანარჩენი მელანიებიც იმ დიდ მელანიას დაემგვანებინათ. მაგრამ მერე, უკვე სკოლას როცა ვამთავრებდი, ბებიაჩემმა მელანიამ მითხრა, რომ ბებიაჩემი მელანია იყო არანახულები უხასიათო, პრეტენზიებით აღვსილი, სიმალლით მეტრანახევარი, შავტუხა და გაჩხიკინებული, და ძალიან ეშმაკი რომ არ ყოფილიყო, ვერც ვერასოდეს გათხოვდებოდა, მით უმეტეს, ჩემი მალაღობი, ღონიერი და საუკეთესოდ მომღერალი დიდიბაბუა მას ზედაც არ შეხედავდა.

ამბავი ასეთი ყოფილა: მელანია იყო ობოლი გოგო. დედამისი — ასევე მელანია — მის გაჩენას გადაჰყვა, მამამ კი ვერსად იბოვა სულელი, რომელიც ოთხი ობოლი გოგოს დედობას ისურვებდა. ამიტომ ოჯახი ჰქონდა ღარიბი და საწყალი. ერთი ხეიროს ის იყო, რომ სამი უფროსი გოგო ლამაზი და ჯანმრთელი გაიზარდა და ამიტომ ისინი ლამაზ და ჯანმრთელ კაცებს გაჰყვნენ ცოლად, მერე რა, რომ უმზითოვები იყვნენ, გოგოები იყვნენ გადასარევი. ნაბოლარა მელანია კი ვერ გამოდგა. საწყალი. მაგრამ — ამის მოყოლისას დედაჩემიც, ბებიაჩემიც და ბებიაჩემის 102 წლის ასაკში მექსიკური სერიალის ყურების დროს გარდაცვლილი დეიდა მელანიაც ერთნაირად ამაყად უწევდნენ ხოლმე ხმას, გეგონება, სამმა თემმა ერთად თქვა ზარიო — განგებამ წართმეული სილამაზის სანაცვლოდ დიდი გონი უბოძა. მელანია მცენარეების ენა ისწავლა და საოცარი ძალა შეიძინა. მელანია მკურნალი დადგა, მდაბიურად — ცოტა კუდიანი.

ქალები მიყვებოდნენ, რომ ეს ცოდნა მას გოგომ უბოძა. დევის შეცვლილმა გოგომ.

საქმე ისაა, რომ ზოგჯერ, როცა ვინმე ქალს და დევის ცოლს ერთ დროს უწევთ შვილის გაჩენა, დევეები ბავშვებს ცვლიან. თუ ავდარია, თუ ბნელი ღამეა, თუ ახალშობილის ოჯახის წევრებმა ყურადღება მოაღუნეს ან სხვა რამ მსგავსი უბედურება მოხდა, დევეები ადამიანის შვილს თავიანთი შვილით შეცვლიან ხოლმე, და ამას ოჯახი ძალიან გვიან თუ მიხვდება, როცა ბავშვი გაიზრდება და აღმოჩნდება, რომ ისეთი არაა, როგორც სხვა ბავშვები არიან.

დევის შეცვლილი ბავშვი, სინამდვილეში, დიდი ბედნიერებაა. ის ძალიან კეთილ-

ია, გულთბილი და საყვარელი. ადამიანებს არ ელაპარაკება, მაგრამ ყველა სხვა ცოცხალი არსებობისა ესმის და მათაც ესმით მისი. დევის შეცვლილი ბავშვი ვისაც ჰყავს, იმის ყანები ბიზინებს, იმის საქონელი მრავლობს, იმის ბანზე ჩიტები იკეთებენ ბუდებს. ეს ბავშვები ყველა სულიერს უყვარს, იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ სიკეთე არიან და მეტი არაფერი. უბრალოდ, სახელს ვერ დაარქმევ, ადამიანის სახელი შეცვლილ ბავშვს როგორ უნდა დაარქვა, და მათ ჰქვიათ გოგო, ან ბიჭი. დიდხანსაც არ ჰქვიათ ხოლმე, იმიტომ, რომ შეცვლილი ბავშვები, ყველას გულსაკტენად, ძალიან ცოტა ხანს ცოცხლობენ.

ჩემი სისხლის ჩემთვის ცნობილ მეორე მელანიას სწორედ ასეთი მეგობარი ჰყავდა, გოგო. გოგოს მნიფე თავთავის ფერი თმა და ცასავით ლურჯი თვალები ჰქონია.

ანა კორძაია-სამადაშვილი

გოგო



მისი დედ-მამა სულ სხვანაირი ყოფილა, არა, ცუდები კი არ იყვნენ, უბრალოდ, არაფრით გამოირჩეოდნენ დიდად. დევეების გოგო კი მშვენიერი იყო და მისი დედ-მამა და და-ძმა სულ მის მზეს იფიცავდა: გოგოს გევიციები, ჩემ კარგ გოგოს გევიციები. ოღონდ, თურმე, გოგო არასოდეს იცინოდა, მარტო იმ თავის ცასავით თვალებით ილიმებოდა, და პირსაც არასოდეს აღებდა, ის კი არა, მისი ჭამაც არავის ენახა. რატომ — არ ვიცი.

გოგოს მელანია განსაკუთრებით ჰყვარებია და სწორედ გოგოს უსწავლებია მისთვის მცენარეების ენა; როგორ — არ ვიცი. ჰოდა, მელანიამ ეს ცოდნა საუკეთესოდ გამოიყენა. მან ყველაზე კარგ კაცს დაადგა თვალი და, ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, მისი გულის მოსაგებად ბალახების ხარშვა დაიწყო.

ყოველ ჯერზე, როცა კაცი თავისი მინებისკენ მიდიოდა, და უნდოდა თუ არ უნდოდა, მელანიას ლატაკი, მაგრამ დანკრიალეებული სახლის წინ უწევდა გავლა, მას საოცარი სურნელი ეგებებოდა. თავიდან კაცს მხოლოდ ეს სურნელი იზიდავდა, მერე სახლმაც მიიზიდა, მერე — სახლის ზღურბლზე მჯდომმა ერთმა ციდა დიასახლისმაც, რომელსაც სხვაგვარად, რა დასამალა, და ნამდვილად არ შეამჩნევდა. ახლა კი კაცმა შეამჩნია, რომ გოგო ტანდაბალი და ხოჭოსავით შავი კი არ იყო, არამედ მელანივით შავი თვალ-წარბი და პრიალა ნაწნავი ჰქონდა, რომ გოგო სულ ილიმებოდა და ამ დროს შესანიშნავი, ჯანმრთელი კბილები მოუჩანდა, და კაცი მიხვდა, რომ ის, მელანია, ყველა ქალს სჯობდა ამქვეყნად.

როგორც ჩემმა ქალებმა მიაბნეს, ჩემი წინაპარი მელანიას და დიდიბაბუას ქორნილის დღეს, დევის შეცვლილი გოგოს ნებით, მზე ჩახჩახებდა, ადრეულ გაზაფხულზე ზაფხულის ყვავილები გაიშალა, და ჩიტები ისეთ ხმაზე გალობდნენ, არც მანამდე და არც მას მერე რომ არავის გაეგონა. პატარძალი სიძეს ნელამდე თუ სწვებოდაო, მომახსენეს, და დიდიბაბუას მისთვის მთელი თემის გასაგონად უთქვამს, აი, ნახავ, როგორ ქმობას გაგინევ, ცივ ნიავს

არ მოგაკარებ, შხარას დაგადგამ გვირგვინადო. ათი გოგო რომ გვეყოლოს, ათივეს მელანიას დავარქმევო. ჩემო დეო, რა ლამაზი ხარ, თამარ მეფეს ჰგავხარო.

ნეტა მაცოდინა, ასეთი რა ბალახები ხარშა იმ მელანიამ.

გოგოს საჩუქრები ამით არ დამთავრებულა. თურმე, გოგო მელანიას ყოველი შევილის დაბადებას დაესწრო და მელანიას ყველა ბავშვს გოგოსავით თავთავისფერი თმა და ლურჯი თვალები ჰქონდა. იმ მელანიასაც, მე რომ მოვესწარი. თმისა რა გითხრათ, ჩემსობას უკვე სრულიად ჭაღარა იყო, ცხადია, მაგრამ თვალები კი ლურჯად უციმციმებდა, სულ ბოლომდე. კი შემომჩვილა ერთხელ, კარგად ვეღარ ვხედავ, ნემსში ძაფის გაყრას იმხელა დროს ვაწვდომებ, მერე აღარაფერი მინდაო, მაგრამ ეს სასაცილოდაც არ მეყო. მე ძაფის გაყ-

ისტორიულ სამშობლოში, რომ დედაჩემს მელანია არ ჰქვია. აი, ნახე: ერთი მელანია მშობიარობას გადაჰყვა — ვარგის? მეორეს გადასარევი კაცი პირველ მსოფლიო ომში მოკვდა, იმის ქალიშვილი მელანიას ქმარი — მეორეში, და ის მელანია, სანამ ცოცხალი იყო, სულ ეჭვით მიყურებდა, გერმანული სისხლის ამბავში, ვერაფრით გავაგებინე, რომ ლანდას მშობლები სულ სხვა გერმანელები იყვნენ და არცერთი ბაბუაჩემი არ მოუკლავთ, და ბებიაჩემი მელანიას ბაბუაჩემი ქმარი კი ყაბარდოში გადასვლისას გადაიჩეხა, მდინარემ წაიღო, ვეღარც იპოვეს-მეთქი. ესე იგი, მეც მალე მოკვდებო? მე მგონი, მართლა შემიძნა. მეთქი, შენ რა შუაში ხარ, ქმარი რომ იყო, კიდევ დასაფიქრებელი იქნებოდა, მაგრამ ხომ არ ხარ-მეთქი. დაიჯერა და შვებით ამოისუნთქა. კიდევ კარგი, ჭკუა მეყო და თავის დროზე ცოლად არ გავყევი, მოკვლავდი ამ საცოდავს.

მე ნამდვილად ვიცი, რომ ომები და ქარაფები ჩემი ბაბუების სიკვდილის მიზეზი არ ყოფილა. მოკვლის საშუალება იყო. ბებიაჩემს რომ ვუთხარი, მივხვდი-მეთქი ყველაფერს, ცუდად გაიცინა. მართალი ვარ, ზუსტად ვიცი.

იმ ნელს, ზაფხულში, პირველად შემემჩინდა მთაში. რატომ მოხდა ასე, არ ვიცი, მაგრამ ძალიან შემეშინდა. გარეთ მარტოს ვერ გამიშვებდი, შანსი არ იყო. არ ვიმჩნევდი, მაგრამ კუდიანი მელანიას შვილიშვილი კუდიანი ბებიაჩემი მელანია მიხვდა, რომ ნახვდი, და რამდენიმე მაგარი რჩევა მომცა:

თუ უკნიდან მძიმე ნაბიჯები მოგესმა, ისეთი, მინას რომ აზანზარებს, იცოდე, ეს დეგია. არ მოიხედო. მარჯვენა ხელით მხარსუკან გადააგდე რამე, სულ ერთია — ცხვირსახოცი, გასაღები, საყურე მოიხსენი და გადააგდე, ბეჭედი მოიხსენი — სულ ერთია. დევი ხომ შიშველია, არაფერი აბადია და საჩუქარსაც არავინ ჩუქნის. გადააგდე ეს ნივთი და ხმამაღლა თქვი: კარგი დღე გქონდეს, დეგო. მე მელანიას გოგო ვარ, მელანია, და ეს საჩუქარი ჩვენი ქალებისგან ინებე. დევეს გაუხარდება, მადლიერი დაგირჩება, და თუ ვინმე რამეს უდერად გეტყვის ან განყენინებს, უფრო ძლიერ მფარველს ვის ინატრებ?

მდინარის პირას კენჭების ჩხრიალს თუ გაიგონებ, ან კენჭი თუ მოგხვდა, ჩემგან გახსოვდეს: ქვასროლია. შენთვის რამის ტკენა კი არ უნდა, ყურადღებას იქცევს, იმედი აქვს, რომ შეამჩნევ და ეამხანაგები. ქვასროლია მარტოა, სულ არის და სულ მარტოა, ერთადერთია სამყაროში, არც და-ძმა ჰყავს, არც ვინმე თავისიანი. თუ კენჭი არ ისროლია, ვერც შეამჩნევ, ძალიან პატარაა, სიმალლით ოთხი მტკაველი თუ იქნება. კენჭს თუ გესვრის, მოიხედე, მაგრამ გახსოვდეს: ძალიან უშნოა ქვასროლია, განწილი, ელამი, დაბრეცილი კბილები აქვს. მთავარია, არ შეგეშინდეს. მისი ყველეს ემინია, მის დახანავაზე ყველა ყვირილით გარბის, და მარტოხელა ქვასროლია ენგურის პირას მარტოდმარტო რჩება და ტირის და ტირის, იმიტომ, რომ ასეთი უშნოა და ასე მარტოა. ჰოდა, რომ მოიხედავ, გაუღიმე, თავი დაუკარი და უთხარი: კარგი დღე გქონდეს, ქვასროლია. მე მელანიას გოგო ვარ, მელანია, და ჩვენი ქალები მოკითხვას გითვლიან. ამის მერე მარტო ენგურთან კი არა, აღარცერთ მდინარესთან აღარაფერი დაგემუქრება, ქვასროლია იქნება შენი ამხანაგი.

და საშპარები? ბებია მითხრა, რომ თუ საშპარები ვნახე, მე ვყოფილვარ საზიზღარი და უარესის ღირსი. იმიტომ, რომ საშპარები მათ დასდევენ, ვინც უმსგავსოდ თვრებიან. დათვრება ვილაცა ოხერი და სახლისკენ მომავალს საშპარები აედევნებიან. მოსდევენ და ბუტბუტებენ: ფეხისგულით იარე, ფეხისგულზე დადებენ. გასულელებული მთვრალი ვეღარ ხვდება, რა უნდა გააკეთოს, ბარბაცს ინყებს, ფეხი ერევა და დასკდება სადმე, აბა, რა მოუფა. თუ არ გადაიჩეხა, კიდევ მადლობა უნდა თქვას. და საშპარები იცინიან, კვდებიან სიცილით. დაიცა, და შენ რატომ უნდა ნახო საშპარები, რა, სვამ თუ რა?

მამინ საშინლად შევიცხადე. მამინ ჩემ კაცსაც ჯერ არ ვიცნობდი, ჯერ არ ვიყავი გაოხრებული და გალოთებული, და ჯერ არ გამეველო გასული საუკუნის ბოლო ათწლეული მაყვლის არყის ბოთლით ხელში: „მაყვლის არაყი, შეყვარებული მამაკაცი-

ბის სასმელი — ასეთი რეკლამა ჰქონდა, და კაცი მიბარბაცებდა გზაზე, პირგაუპარსავი და ვითომ სექსი. ფეხისგულით იარე, ფეხისგულზე დადექი...

ჰოდა, ზუსტად ამ საუბრის მერე — რა დასამალია, და მთაში მაინც მაგრად მემინოდა, ოღონდ მელანიასი უფრო მემინოდა და ავედი მაინც, სხვა რა გზა იყო — მელანიას ვკითხე, და დალი-მეთქი? რა — დალიო. აი, დალი რომ შემხვდეს-მეთქი?

ბებია მელანიას როცა ვიხსენებ, სულ ისეთი მახსოვს: გადაადგო თავი და გულით იცინა. დედაბერს ისეთი კბილები ჰქონდა, მაშინაც შურით გაეცკდი, აი, რა იყო, რაღა ჩემზე დაისვენა ყველა გენმა? მელანია კი იცინოდა და იცინოდა, და ცოტა მენყინა, რა, თუ დევი და ქვასროლია გამომიხტენ სადმე, ეს არაა სასაცილო და დალი სასაცილოა თუ რა?

მელანია მითხრა, რომ დალის ქალი ვერ ნახავს. დალი ნადირობის ქალღმერთია და მონადირე ქალი რაღა უბედურებაა... დალის ოქროს თმა აქვს, დალი ისეთი ლამაზია, როგორც არავინ ამქვეყნად. საიდან ვიცი და კაცებისგან. დალის მარტო კაცები ხედავენ. დალის კაცები უყვარს და მასთან, ვისაც შეიყვარებს, გარიგება აქვს: ამდენი და ამდენი ჯიხვის მოკვლის ნება აქვს, მეტისა — არა, და არავის არასოდეს არ უნდა უთხრას კაცმა, რომ დალი ნახა. ასეთი პირობაა. დაარღვევ პირობას და დაიღუპები: კლდესთან გაივლი — კლდის წერა გახდები, ომში ნახვალ — ვერ დაბრუნდები, მები გავარდება — შენ დაგეცემა... დალია, ვილაც ბოგანო დედაკაცი ხომ არაა, და სიტყვა სიტყვაა.

მეთქი, ბებიაჩემო, შენ ვინც ვიამბო დალიზე, იმთა ხომ ნახეს-მეთქი, და რომ თქვინ, მერე-მეთქი? მელანია ძალიან ცუდად გაჩუმდა. სწორად მივხვდი-მეთქი? მელანია ცუდად გაიცინა, ისე აღარ, როგორც მანამდე, და იმხანად ლანჩიკი კი მივხვდი: ეჭვიანობს! აზრზე მოდი, დალიზე ეჭვიანობს ასი წლის დაქვრივებული ბებიაჩემი!

ბევრი წლის მერე, დედაჩემმა გერმანიაში რომ მოკურცხლა და მე და ლანდა მარტოები რომ დავრჩით, ეს ამბავი ლანდას ვუამბე, ისე, სახალისოდ. და ჩემმა უნესიერესმა პიეტისტმა ბებიაჩემი მითხრა, სულ არ მიკვირს, ასე, მე დინა დურბინზე ვეჭვიანობდიო. პირი დავაღე. სერიოზულად-მეთქი? კიო. ბაბუაშენი გადასახლება მდევრე და მერეც სულ მასზე ლაპარაკობდა და ამ

ქალის ერთი ათი ფოტო მაინც ჰქონდაო. ყურებს არ დაუფერე. დინა დურბინი ძალიანაც ლამაზია, მაგრამ ლანდასთან ვერც მოვა! და სად დინა დურბინი და სად ნოტიფისური ბაბუაჩემი! დალი კიდევ მესმის, და დინა დურბინი, კაცო?

ეგ არ მჭირს. მე არ ვარ ეჭვიანი, საერთოდ, და ჩემს კაცს ეს ცოტა აღიზიანებდა. ახლა უკვე გასაგებია, ვის რაში სჭირდება, რა საეჭვიანოა, მაგრამ მაშინაც, ვესტერნის გმირს რომ ჰგავდა და მთელი დომ ტვორჩესტვა მასზე რომ ზნდებოდა, ნამითაც არ მიეჭვიანია. მე მეგონა, არა, ღრმად და რწმუნებული ვიყავი, რომ ყვითელი, პლისირებული, შავკოპლებიანი, სრულიად იდიოტური ქვედაბოლო რომ მეცვა და ტრაკის ქნევით რომ ვცეკვავდი, და გულით რომ ვმღეროდი და მელანია რომ მერქვა, აი, ბალი ათი შაური... ეტყობა, გასულ საუკუნეში გოგოს საჩუქარი ჯერაც ძალაში იყო, მარტო მცენარეების ენა ხომ არ ასწავლა ლურჯთვალა გოგომ დიდ მელანიას.

ჩემმა კაცმა იფიქრა, იფიქრა — სახეზე ეტყობოდა, ნვალობდა ცოტას — და თქვა: კი მაგრამ, შენს ძმისწულს რომ დაარქვს მელანია, არ გემინათო?

ჰოო... მაგრამ ერთი ტყუილი თუ თქვი, მერე კარგად მიდის. მეთქი, ამერიკელ დედამისს ჰგონია, რომ „ქარნაღებულების“ ამბავია-მეთქი და ასე რომ ჰგონია, რაღა უნდა მოხდეს-მეთქი. ჰოო, კაცმა, და გაჩუმდა, და მერე ჩემი უტიფარი ტყუილები-სგან ნამხდარ ლანდას უთხრა, ლანდა, მე ხომ ვიცი, სადმე სასმელი გექნებოდა გადა-მალული.

ლანდას მარაგი რომ ამოწურეთ, დასამატებლად ისევ მე გავედი — ფეხისგულით იარე, ფეხისგულზე დადექი... ჩვენ ვსვამდით და სამინლად გვიყვარდა ერთმანეთი, როგორც მაშინ, როცა სამინლად ვსვამდით და ბალი ათი შაური, და ისევ ვიმღერეთ, როგორც მაშინ ვმღეროდით, როცა სამინლად ვსვამდით, და ჩემი კაცი ლანდას ეუბნებოდა, რომ ისე ვუყვარვარ, რომ აღარ იცის, რაღა ქნას.

ეს რომ აღრე ეთქვა, სულ აღრე, როცა ჯერაც ორი მელანია მყავდა, აუცილებლად გავაჩენდი გოგოს. მას ერქმოდა გოგო, და ექნებოდა მნიფე თავთავისფერი თმა და ცასავით ლურჯი თვალები.

*

ჩემი კაცის ახალ შვილიშვილს დავარი დაარქვეს. მართლა ქაჯები არიან.



მაკა ჯოხაძე

ისპარიოტის ეკლავი

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

დასასრული

— ყველაფერი კარგად იქნება, ჩემო...
— ანანია. ანანია მქვია, — უცბად შეაგება იუდა.

— ყველაფერი მოგვარდება, ანანია, დღეს დაისვენე, ხვალ დანადრე შევედგეთ საქმეს... ახლა ნამოდი, შენს ოთახს გაჩვენებ...

ელინმა სამზადისს უკანა მხრიდან მიდგმულ სამუალო ზომის ოთახში შეიყვანა ჭაბუკი და ახლადა შენიშნა, რომ მგზავრი ყოველგვარი ტვირთის გარეშე იყო სახლიდან გამოქცეული. კაცმა კარადიდან ტახტზე გასაფენი ახალი ზენარი, თეთრეული და ტანსაცმელი გამოიღო.

— ჩემი ვაჟის სამოსია, კარგად გექნება, გამოიცვალე, ხვალ ადგილს გარევენ, სადაც უნდა გარეცხო ხოლმე თეთრეული.

— თქვენი ვაჟი სად არის? — ძალიან ბუნებრივად გაისმა ეს შეკითხვა, მაგრამ ელინი რატომღაც შეკრთა.

— აბიბო სპარსეთში გავყავ ბედუინებს, ნელსაცხებლების, აბრემუმისა და ხალიჩების ჩამოსატანად. იერუსალიმში ამ საქონელს ოქროს ფასი ადევს, კარგად იყიდება... ნამყოფი ხარ იერუსალიმში?

იუდამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— თქვენს შვილს აბიბო ჰქვია?

— ჰო, აბიბო, კარგი შვილი მყავს, მშრომელი, დაუზარელი... — მცირე შეყოვნების მერე ელინმა მიიმედ დაამატა, — მართალია, ჯერ ბავშვები არ ჰყავთ, მაგრამ წინასწარ ზრუნავს საყვარელი ცოლ-შვილის მომავალზე... ჰო, მართლა, ხვალ ლეასაც გაგაცნობ, ჩემს რძალს...

— აბიბოს ცოლი ჰყავს?! — რატომღაც გაიკვირვა იუდა.

— მაშ, ლეა ჰყავს, კარგი ქალია, ოჯახის ერთგული და გამრჯე, — ერთგვარი სიამაყით დაამატა კაცმა.

სიტყვა გამრჯე იუდას ამდენი წლის მერე ბუნდოვნად მოაგონა ბეგონი და უცნობი ლეა რატომღაც მიიმე, დაშაშრული ხელებით წარმოიდგინა.

— კარგი, ანანია, დაისვენე, იქნებ ჩაგეძინოს კიდევ, ამხელა გზა გამოიარე...

ელინმა კარი გაიხურა და იუდა პირდაპირ, ტანსაცმლიანად გაიშლართა ტახტზე. ჭერს თვალმიპყრობილი კარგახანს ფიქრობდა იმაზე, სხვისი სახელით რომ გაცნო მასპინძელს. „რაღა მაინცადამაინც ანანია?!“

ანანია! მოულოდნელად მოადგა ეს სახელი ენის წვერზე, როგორც დამნაშავე მიადგება ხოლმე რაღაც მისტიური ძალით მკვლელობის ადგილს.

ამაზე აღარ უნდა ედარდა, რაც მოხდა მოხდა, დროზე უნდა მოეცილებინა ძმაზე ფიქრი. რა დროს ანანია იყო. ახალ რეალობაში ცხოვრობდა უკვე, ახალ გარემოში იწვა და ისვენებდა. გრძნობდა, მხოლოდ სხეულით ვერ მოეშვებოდა, გონებაც უნდა გაეთიშა, თორემ მრუმე ფიქრის ნაკადი სე-

ვდას გააჩნდა, სევდა დანაშაულის გრძნობას გაამძაფრებდა, სამძიმარზე მოსული ქალივით სინანულს მოიყოლიებდა...


სინანულის ყველაზე მეტად ემინოდა ბავშვობიდან. რაიმეს რომ დაამავებდა, ეს განცდაც მაშინვე მოაკითხავდა, აბიგაილით მოულოდნელად წაადგებოდა თავზე — ჩემო პატარა, ჩემო ხუჭუჭა, მითხარი, რაზე ფიქრობ, რა გავჭირებია და მოგეშვებო... რა ზუსტად ხვდებოდა აბიგაილი მისი გულის რხევებს...

პატარა იუდა ფრთხილად ააყოლებდა გვერდით მდგარ ქალს მზერას. თბილი იყო აბიგაილი და ლამაზი. თბილი და მოსიყვარულე იყო მისი ხელიც და გამოხედავც. ასეთ ნუთებში მშვიდდებოდა იუდა, გრძნობდა, რომ ეს ქალი სხვებზე არასოდეს მოსთხოვდა პასუხს, არასოდეს დანყველიდა და, რაც მთავარია, არასოდეს მიატოვებდა. მთელი მისი სხეული რაღაც უცნაურ ნდობას ასხივებდა. იწვანდობაში გახვეული, მზეს დახარბებული გატრუნული ლეკვივით და ნამიერი ნეტარებისათვის სახელი ვერ დაერქმია.

მხოლოდ ახლა, ამ ნუთებში, უცხო ოჯახში ტახტზე გამოტოლი ხვდებოდა და ისენებდა დედაშვილობით მოგვრილი სიმშვიდის ძალას. სწორედ დედასთან განშორება ზაფრავდა. ნანობდა, რომ არასოდეს გაუხსნია მისთვის გული, არასდროს გაუმხელია, როგორ დარდობდა ანანიას გაჩენას. სწორედ ანანიას, ამ უსუსურ, ციცქნა არსებას აღმოაჩნდა ამხელა ძალა, რომ მისთვის აბიგაილი წაერთმია. სწორედ ამ ღლაპმა გამოაცალა ფეხქვეშ მინა, თანდათან რომ მკვრივდებოდა და აღარ ირწეოდა ბნელ ტბასავით. მინა, რომელზეც მყარად სიარულს სწავლობდა იუდა... ვინ იცის, დროზე რომ გაემხილა პატარა იუდას მუდმივი შიში — ისევ გამიმეტებენ და მიმეტოვებენ — წლებთან ერთად დაბერებული მრისხანება სიძულვილი აღარ გადაზრდილიყო. ბრაზის ყოველი შემოტევა აცოფებდა, გონებას უმღერევდა. ჟინმორეულს და მრავალი სისასტიკის ჩამდენს ფიტავდა და აცარიელებდა.

ახლაც ცარიელი, გამოფიტული, სხვისი სახელით იწვა სხვის ტახტზე. იმდენად დარდობდა და განიცდიდა აბიგაილთან დაშორებას, რომ მზაკვრული გონებით შეთხზული ოჯახური თავგადასავლისა, საათის წინ მასპინძელს რომ აუჩუყა გული, თავადაც სჯეროდა, და გულწრფელად ეცოდებოდა დედა.

დალილო-დაქანცული და ნახევრად მთვლენარე ვერ ისვენებდა, შფოთავდა. ძრწოდა. ძილის ტალღებში მოტივტივე უმცროსი ძმის ხატებას ისევ ებრძოდა, შურის ეკლებით იგერიებდა. ბოლოს, ქანცგანყვეტილსა და ძალაგამოლეულს, როგორც იქნა, ჩაეძინა.





სოსო მეშველიანი

ნაკერჩხლის ტყე

„გაშალეს ქერუბებმა ფრთები და ამაღლდნენ მიწიდან ჩემს თვალნი“. ეზეკიელი

როგორ ნათდება და ფართოდება ჩემი პატარა და ბნელი ოთახი, როცა ნითელფოთლებიანი ხეებით მოხატულ კედლებს ვამტერებ,

ძველ, უბრალო შპალერს. აქ ვიძინებ, დიდი ქალაქის ხმაურიანი ქუჩებიდან მოსული, დაღლილი და გამოფიტული. ვიძინებ ამ ბნელ ოთახში და ნეკერჩხლის ტყეში მელვობა. სადაც შორეულ ბავშვობაში, ლამაზ და ნათელ სამყაროში. სადაც მწიფე ანწლის მარცვლების წვენით მელნისფრად ვიღებავ ხელებს, სადაც ლოკოკინა ხმება შხამიან სოკოზე, სადაც თავისში მინოვს საიდანაც ამომსკდარი ხმა:

— ...ითვლი ხეებზე ამოტვიფრულ სახელებს და ხის ბნელ ფულურში იყურები, თითქოს ფულურო ძახილს გამოსცემს წინაპართა. მიყვები ძახილს, აზრად არ მოგდის სიზმრის კარი გამოუხურო

ლამის აჩრდილებს, ძვირფას სულელებს. რა დიდებული სიმშვიდე დგება. იდუმალი. გარინდებული დგახარ. „— დაინთქა შუქი ბნელში“, იქ ტყის სიღრმიდან ხარის თვალები ანათებენ. ხარის თუ მამის. გაქრება ეჭვი, სამუდამოდ, რაც გულს გიღრღინდა, გაქრება ხილვაც, ყოვლადმინდა ღვთისმშობლის ღამის.

პანდემიისას მატარებლიდან

უნდა გტანჯავდეს (არ იტანჯები), თუ ყველგან შიშს და პანიკას ხედავ. შენ ამჩნევ მხოლოდ, თეთრი ყანჩები ტაძრის გუმბათზე რარიგად სხედან. ვინ გაგიკარებს, თუ გადარჩები, მოსიარულე უგულო ცხედარს.

გაურკვევლობა

ალექო ჩანქსელიანის ხსოვნას

არა სიცივით, უფრო შიშით იწყებენ კანკალს, თუ ერთმანეთი ესიზმრებათ მგელსა და კანგალს. როგორ მკრთალდება სიდიადე მშობლიურ ზამთრის, მოულოდნელად ყველაფერი როცა აზრს კარგავს.

შორიდან რაღაც ხმები აღწევს, ჩემამდეც მოდის, მოჰგავს ქარაფის ორნოხებში მომწყვედულ ხროტინს. ნუთუ ოდესმე ძველებურად მომენატრება, მსუბუქი სევდა, დათოვლილი ძახელის ტოტის — ჩვენს შორის ჩადგა მოქვითინე გამხდარი ლანდი, გაურკვევლობა და სიმკაცრე სამარის ლოდის.

მიმდის წინასწარ, იმის თქმა ან იმის მტკიცება, ხსოვნა თუ ერთ დღეს გახუნდება, გაიცრიცება. მეისარობის იდუმალ და უკუნ ღამეში შეგაკრთობს შუქის უცნაური ალიცილიცება.

„რატომ?!“ დღეების მიყოლებით სიზმრებშიც არკვევ, გაბუტები ღამის ლანდებს, გადგები ცალკე, კვლავ გადასურავს მგლის ყმული მდუმარე სოფლის სივრცეს, მთვარეს რომ გაადიდებს მყინვარის სარკე.

ვაგალი

„სიზმარი — პატარა, კარგად დამალული კარია, რომელსაც მიყავხარ იმ პირვანდელ კოსმიურ ღამეში, სადაც სული იმყოფებოდა ცნობიერების გაჩენამდე“. კარლ გუსტავ იუნგი

მაძლარი პირუტყვის ფშვინვა, ამონასუნთქის მსუყე ოხშივარი — თითქოს სველი ზურგიდან ორთქლად ასდით ნანვიმარ და მზეჩაღვრილი ტვერში. როგორ ხასხასებს შამბი, მერე და ცის სილურჯე... ყველაფერს პირველყოფილი ფერი დაკრავს. იმ ქალის ძახილს მიყვები, რომელიც ფრთხილად დააბიჯებს ეზოში, ბრმაც კი არჩევს, ყვითელ წინკლებს მწვანეზე — ბალახში მიმოფანტულ წინილებს. ქალის ძახილს მიყვები, ნითელფოთლებიანი ნეკერჩხლების გავლით, აქა-იქ თვალს შევავლებ, ბუდეებში რბილად ჩაწყობილ ჩიტის ნაცრისფერ კვერცხებს. ყველა მხრიდან რაღაც ხმები აღწევს, ვიხლართები ამ აბურღულ ხმებში. ძახილს მიყვები, ძახილს, მიყვები და ვერ გავაღწიე ამ ვეებერთელა პანტა მსხლის ჩეროდან. ქარის ერთი დაბერვისას რომ ისე შორს წყდება ნაყოფი, იმ ლანდად ქცეული ქალის უკან ეცემა, ძველი ბოსლის სახურავზე, ყავრებზე ხმაურობს და იკარგება კვახისბარდიან ბალახებში. ამ ხმაურით დაფეთებული, იმ ძახილსაც გადაფარავს ძაღლის ხმა და ინდაურების რუყრუყი.

მთის სათიბში

იმგვარად ცრიდა, ვერ იტყოდი, „მზე პირს იბანდა“. მომლოდინენი მძიმე დღისა, იქვე იფანთან ვიდექით უბრად, უძინარი თვალებით ზეცას ვუმზერდით, სანამ ღრუბლები არ მიმოიფანტა.

**მამბერი*
ალეკოს**

მან არ იცოდა, თუ ვეძებდი, ეგონა, შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს ამ ორივესთვის უცხო ქალაქში, უკვე შეყვითლებულ ჭადრებთან. მისი გაოცება — უცებ მოვარდნილი ქარი. მისი სევდანარევი სიხარული — ხმელი ფოთლების შრიალი. როგორ მიჩვევია მარტობას ძვირფასი ადამიანის სული, ახლა რომ ჩიტებთან მეგობრობს, ერთ დროს მამბერივით დაუმცხვრალი, მგლების უშიშარი მფარველი. მართლა რა უცნაურია! სად მოლულუნე მტრედეები ხმელი ფოთლებით მიმოფენილ სკვერში და სად დათოვლილი ტვერებიდან მოვარდნილი მგლის შემზარავი ყმული, ასე ტალღასავით რომ გადაუვლის მთებშორის მოქცეულ სოფლებს და ერთიანად აფორიაქებს. რამდენი რამე გვაქვს გასარკვევი, ჩვენ კი ვსხედვართ და მეტროძოლ ძაღლებზე ვსაუბრობთ, ხანაც ნადირობის ამბებს ვყვებით. რა დიდი მიხვედრა უნდა, ერთი მარტივი შეკითხვაც კი ირმის ნახტომით დაგვაშორებს ერთმანეთს. მერე როგორ გინდა მოიხელთო, სივრცისა და დროის მიღმა დარჩენილი... ამ ორივესთვის უცხო ქალაქში, უკვე შეყვითლებულ ჭადრებთან.

* მამბერი — ქართულ მითოლოგიაში მგლების მბრძანებელი.

ალაური უცანა ანუ მეთოვლია

„არც იცი, თეთრო ყვავილო, როგორ ვუხდებით სიკვდილს“. დავით წერეთლიანი

ამ ყვავილს ყველა სულდგმული უფრთხის, თეთრსა და ლამაზს, თან ახლავს მხოლოდ სიჩუმე და სიციარილე. ქისით მარლი ხარებისთვის მიჰქონდა მამას იმ ქედის გავლით, სადაც ყვავილდამჭკნარ იელებს

მოუწყენიათ. ნაუშლია დრო-ჟამს გზა-კვალი, არ იცის საით, წარმოსახვით ბილიკს მიყვება, ის, ვისი სულიც დიდებული, არა მზაკვარი, ამ ველურ ხმებით აღივსო და გამოიკვება.

ამ ყველაფერთან შეღამებას თან ახლავს როცა მუსიკა ასე ერთდროულად უხეშიც, რბილიც, დაუძაბავად ვინც მიენდო ხავსივით მცოცავ დროს და ვინც ღამე ხშირ შამბნარში დაკარგულ ბილიკს,

დაკარგულ დროს თუ დაკარგულ ხმებს დაეძებს ახლა, ამაოდ: — მორჩა, ყოველივე კვირადღის უქმეს. და ახლა ასე ნება-ნება ნვალებით დახრავს გამხმარი პურის ძველ აბგაში ჩარჩენილ ლუკმებს.

მანანალა ქუჩის ქაღალცი და მოხუცი ბოძი უბრალო სურათი

გადმოსცქერიან ქიმერები ნისლიან მარსელს, რაღაცნაირი აბსურდია — ზღვაზე როცა თოვს. თუმც ყრუ შრიალი გაფილტრული ბგერებით მავსებს, მაინც მლაშეა ეს მუსიკა და უმოცარტო.

ძველი ტავერნა, ფრუტერია, ვინრო დახლები, კედელზე რაღაც ნატურმორტი, მსხლითა და კომპით. გარშემორტყმული მანანალა ქუჩის ძაღლებით, პორტთან ხიდის ქვეშ შეყუჟულა მოხუცი ბოძი.

დეკემბერი

„დღის სინათლემ იკლო“... დედაჩემი

სიზმარში სჯობდა, იქ მწვანეზე ერთად ვისხედით, ტყე შრიალებდა — ახლა ვხედავთ იმ ტყეს გაჩეხილს. ყვავის ყრანტალი რომ უხდება, დღეა ისეთი, ნეზვის როხროხი, სუნი თხების ძველი საჩეხის.

გაღმა ტყეც შავად ილანდება, მინის ღრმულები ატყვია ბოსტანს, სადაც დედა რატომღაც მძიმედ დადის. კვლავ იკლო დღის სინათლემ და ბედურები, თავს აფარებენ ჩამოძინძილ ჩაღის სველ ზვინებს.



ჯუანშერ
ტიკარაძე

ორშაბათიდან ორშაბათამდე

ორშაბათი

გათენდა დილა ფუჭი სიმხნევით,
ფუჭი ერექციით,
ფუჭი მცდელობებით
მასსოვრობის ცერბერებს გაქცეული სიზმრის სიტყვებში შეტყუების.
ფუჭი წინათგრძნობა ჩაინაგლა ყოველდღიურ რუტინაში:
ჩაი, ნიუსები, ფეისბუქი.

სამშაბათი

არის ასეთი დრო მზის აღმოს-ახდენსა და ზენიტს შუა,
ყავის სმის დრო, შოკოლადის გაკვნიტის,
თუთუნის გაბოლების,
დრო ფეხის ფეხზე გადადების,
გაზმორების დრო.

ოთხშაბათი

ხოლო შუადღეს იყო სადილი —
პირველი თავი, მეორე, დასაყოლებელი.
შუადღეს კიდევ იყო გამაძლარი გარინდება შუადღესში.
შუადღე, უბრალოდ, იყო.
მგონი.

ხუთშაბათი

ნაშუადღევს ხილის ასორტს მივეძაღე.
წვინანი ხილი იყო, კარგად შემოსული,
მაგრამ მაინც მომანყურა.
„ბორჯომი“ გამოვიღე, გავხსენი, პირდაპირ მოვიყუდე.
გაზი ცხვირში ამივარდა, ყლუპი გადამცდა და ხველა დამანყებინა.
კინალამ დავიხრჩვი.
არა, რა,
ჭიქაში უნდა დამესხა, ცეცხლი ხომ არ მეკიდებოდა.

პარასკევი

არც ბებერი მექარავენების ქუჩით უნდა წავსულიყავი „ზაქარია ზაქარიას ძისკენ“,
სადაც ბიჭები მელოდებოდნენ.
საცობში გავიჭედე.
გალიზიანებული გავყურებდი რკინის ბედაურების, გამწვევი ხარების,
ჯაგლაგი ჯორებისა და ოჩანი ვირების უწესრიგო რიგს.
ბინდბუნდი გაცრეცილი ბლონდების უხმო შარიშურით ეშვებოდა ბეტონის
მონოლითზე
და კორპუსებს შორის მოჭიატე ცის ნაგლეჯს მომაკვდავის ფერი ედებოდა,
და თითქოს ბინდნისლის ახალ ტალღას გამოჰყვავო,
უცებ დაღლილი სევდა შემომანვა იმის გამო,
რასაც უკვე ველარ შეეცვლიდი.
სიგარეტი ამოვიღე და გავაბოლე.
მაღე — კიდევ ერთი.
ბოლოს მაინც მომეშვა, აბა, სად წავიდოდა.

შაბათი

ლუდი. ხინკალი. არაყი. ლუდი. ქაბაბი. არაყი.
არაყი, არაყი, არაყი. მწვადი, არაყი, არაყი,
ლუდი.
მერე ბარები:
ჯერ — ღვინის ბარი, მერე — ისე ბარი, ბოლოს — დისკობარი.
მერე — კოქტეილი, მერე — ვისკი, მერე — ტეკილა.
მუსიკა. სიტყვები. სიტყვები მუსიკაში.
ფეხები. გრძელი ფეხები. ძუძუები. მუსიკა. მუსიკა სიტყვებში.
თვალები.
თვალები, თვალები, თვალები, თვალები, თვალები.

თვალფეხძულები, ძუძუფეხთვალეები, თვალფეხმუსიკა. სიტყვები მუსიკაში.
შუქი. სიბნელე. შუქი. შუქი. შუქი. სიბნელე.
ჩრდილები.
აჩრდილები, აჩრდილები, აჩრდილები.
დარხული აჩრდილები.
დარხული სიცოცხლე.

კვირა

ლამით მამაჩემი დამესიზმრა
შენ ხომ მოკვდი
კი არ ვკითხე
ვიკითხე მე საკუთარი თავის დასარწმუნებლად
კი მოკვდი უემოციოდ დამიდასტურა მამაჩემმა
მაგრამ რა არის სიკვდილი მკვდრისთვის
პატარა ოთახში ვისხედით ხელით გამოჩორკნილ მაგიდასთან
მაგიდას სუფრის მაგივრად ძველი გაზეთი ეფარა
და ზედ ტარანი იდო ვარაზის ნახატიდან
ხოლო სარკიდან მოხრიოკებული ბორცვები მოჩანდა
მერე დამესიზმრა რომ ვითომ ნაცნობად უცნობ ქუჩაში მივდიოდი
ქალაქს მენამული ღამე ანათებდა
ასფალტზე ცარციტ დახაზულ კვადრატებში

გაკნაჭული გოგონა დახტოდა ასკინკლით
გვერდით რომ ჩაფურე ქერა თმები აიქნია თვალებიდან
და აღმაცერი მზერა გამაყოლა
და მე ვიგრძენი რომ მის ცნობიერებაში დავრჩი სამუდამოდ
და ოდესმე
საუკუნეების შემდგომ
წამოვასხენდებოდი,
მერე წამით ჩემი საძინებლის კონტურები დავინახე,
მომდევნო წამს კი უკვე მქრქალად ჩაბნელებულ გვირაბში
მიგტყაპუნობდი ფეხშიშველი

წყლის ნვეთები წკაპანკუპით ეცემოდა ნესტიანი კედლებიდან გამოჩრილ ნერვებს
ლამურები კი ხრწნაშეპარულ ჰაერში ფრთებით ქსოვდნენ აქერცლილ აბლაბუდებს
უეცრად ექომ ლაბირინთის სიღრმიდან ფლოკების თქარათქური წამოილო
და მეც უნებლიეთ მოვიკუნტე და ხავსმოდებულ სვეტს ავეკარი
როცა ყიჟინით ჩაიქროლეს მძიმედ შეჭურვილმა შუბოსანმა რაინდებმა
მერე დაიგრგვინა ბედისწერის ჭრილობებს მიღმა ატეხილმა მეხთატეხამ
და გვირაბის ცა დაიკანრა ელვის არტერიებით სისხლძარღვებით და კაპილარებით
და რომელიღაც გაუხსენებელი წიგნის ფურცლებიდან გადმოსულმა მოჩვენებამ
კედელზე მიხატული უზარმაზარი სისხლიანი ისარი გამოაჩინა
წარწერით Exit

შვებით ამოსუნთქვაც კი ვერ მოვასწარი რომ დეკორაცია მყისიერად შეიცვალა
და ახლა ზურგზე გადაწოლილი მივცურავდი
უდროობიდან გამობოლქვილ ბურუსისფერ კაეშანში
თვალდახუჭულმაც კი ვიცოდი
რომ სახეზე ვარსკვლავები დამთამაშებდნენ
და მთვარის ქარი თმას მიწენავდა
სადღაც შორიდან ზარის რეკვის ხმა მოისმოდა
უხილავ კარზე ზარს რეკავდა ვიღაც უხილავი
რეკავდა შეუსვენებლად ჯიუტად გამწარებით...
თუ ჩემი მადვიდარა იყო?

ორშაბათი

გამითენდა დილა ცრუ სიმხნევით,
ამაო ერექციით.
მეხსიერების კბილანებისგან გამსხლტარი სიზმრის
დედამინაზე შემოტყუების განწირული მცდელობებით.

ზის ანონილი კორპუსის წინ
ორ ხეს შუა ჩაჭედო ძელზე ამ უბნის ლოთი,
თავჩაქინდრული ჩასჩერებია პლასტიკატის გამოცლილ ჭიქას
და მისია ახლა ეს სამყარო —
არყის ცრემლებით დამლბარი,
დამცირებებით, ტკივილებით, დანაკარგებით აღსავსე,
შეფარული სიამაყის სევდით შეფერადებული
საკუთარი ფატალური უიღბლობის გამო...
ბეტონის რქაგრეხილებზე კბილებმულენილი მზე ილურსება ფოთლების მაქმანებში
და ქუჩის თუხთუხს მარწველა ხრწნა ეპარება.
არაფერია უკვე დღეების ასწრაფებული სრბოლა,
ბურანს იქით დარჩენილი ჟივილ-ხივილი, მკვდრების მოძახილი,
სიმარტოვის კლაუსტროფობიური მოჩვენებები.
არაფერია. არაფერია.

გაიღვიძე, სიკვდილო, არ გესმის?
მინისფერი ხელებით დაგლიჯა უკვე უფროსმა ძემ
თავდახრილი თავთავები
და ძნად შეკრა,
მხარზე გაიდო.
ახლა მისი ეჭვიანი ნაბიჯების ექო
მათრახივით ეტყლაშუნება ასახდენად გამზადებულ შეჩვენებას.
გაიღვიძე, სიკვდილო, გაიღვიძე!
ფიქრით თეთრი ბატკანი მიბაკუნებს სამსხვერპლო მთისკენ,
ხან ჩამორჩება უმცროსი ძის მოზომილ ნაბიჯს,
ხანაც გაუსწრებს.
მშვიდად ფშვინავს დილის ოხშივარში გამოკრული ჩვილი დედამინა
და თითქოს გაუხსენებელი სიზმრებიდან მოაქვს ნიავს
ჯერარგამოგონებული ზანზალაკის კაეშნის ამშლელი წკარანკური.
გაიღვიძე, სიკვდილო, გესმის?
გაიღვიძე და ნულარ დაიძინებ
უკუნითი უკუნისამდე.





 იმ დილით,
 სახლიდან გასვლის წინ,
 მან ჯერ მოიხსნა ნილაბი
 (სადღაც სიღრმეში ნამით ახამხამდნენ და გაქრნენ მგლისა თუ ძაღლის თვალები)
 და გაბეზრებული მზერით გახედა კედლებიდან გამოფლავებულ მოჩვენებებს,
 მერე გადაწვავა სავარძელში,
 თავი უკან გადააგდო,
 გაირინდა
 და ჭერს ისეთი დაძაბული ააჩერდა,
 თითქოს ზედ უხილავი ხელით წაწერილ განაჩენს კითხულობსო,
 მერე წამოდგა,
 გაიარ-გამოიარა,
 კიტელი მოიცვა,
 ღილები ბოლომდე შეიკრა,
 სარკესთან შეჩერდა,
 თავზე შერჩენილ ორიოდ ღერ თმაზე ჯერ ერთი ხელი გადაისვა,
 მერე — მეორე...
 სულ ბოლოს კი ცხვირზე მონოკლი დაიკოსა
 და გახდა ის,
 ვინც უნდა ყოფილიყო
 და ალბათ იყო კიდევაც.
 მგელმა ძაღლს კუდი გაუქიციანა.
 ძაღლმა შეუღრინა.
 გარეთ მარტის ჭინჭყლი დილა მოქუფრულ შუადღეში გადაზრდილიყო.
 წუხანდელ ქარბუქს გაზაფხულის მოლანდება მიენამქრა და ჩაეყინა.
 ალაყაფთან შავი „ზის-115“ თუხთუხებდა.
 წითელცხვირიანმა მეზობელმა ყურბიანი ქუდი მოიშვლია,
 ნიჩაბი მკერდზე შაშხანასავით მიიკრა
 და „სმენაზე“ გაეჯგამა:
 — Здравия желаем-с, ваше Благородие товарищ Лаврентий Павлович.
 სადღაც, მოგონებებს მიღმა, თვალისმომჭრელი ხმაურით იფეთქა სიცარიელემ
 და ნასიზმრალი ლაბირინთის ნესტიანი ლოდები ჩაიყოლა.
 ხეებიდან ყრანტალით აიშალა დამფრთხალი ყვავების გუნდი.
 დაბალმა, მოსუქებულმა მონოკლიანმა მამაკაცმა თვალი ააყოლა
 და ცოტახანს მერეც უყურებდა,
 როცა დაცვამ მანქანის კარი მიუხურა.
 რძისფერი არაფერი.
 ბედისწერის შავი ნერტილები რძისფერ არაფერში.
 ყვავებილა გაკლდა, — ნაძალადევიდან სცადა მან საკუთარ თავთან გახუმრება,
 საზურგეზე გადაწვა,
 ხელები მოიფშვნიტა
 და უფრო თავისთვის თქვა, ვიდრე მძღოლის გასაგონად:
 — В Кремль.
 დღეს მას ამხანაგი სტალინი უნდა მოენამლა.

 გეპატიუები ჩემს ვიდუოჩატში ამ საღამოს,
 ჯერ დავლიოთ ცოტა,
 მერე ცოტაც ვისიყვარულოთ.
 მე ტანინიან კახურს ამოვიტან სარდაფიდან
 და მივჩხრეკ-მოვჩხრეკ, თუ რამე მაქვს სახლში დარჩენილი;
 შენ შავი ღვინო უნდა გედოს განჯინაში.
 ცოტა ნაკლულია, მგონი, და გააგლინტვეინე —
 გიყვარს შენ შემთბარი ღვინო ბერძნული ფორთოხლებით
 და კიდევ იმით, რა ჰქვია, დარიჩინით.
 ჰო,
 შოკოლადიც გამოილე, მე რომ გადამიჩრა, მაცივრიდან.
 გეპატიუები ჩემს ვიდუოჩატში ამ საღამოს,
 დავლიოთ ცოტა,
 ცოტა მუსიკასაც მოვუსმინოთ.
 მე ჩემს აჩემებულ ტრეკებს ჩავრთავ დაბალ ხმაზე,
 შენც მაქვთ შენი ჯაზი დაუკარი...
 ჩამოვსხდეთ ბოლოს დესკტოპის წინ გაღმა-გამოღმა,
 მივუჭახუნოთ ფუფერები ერთიმეორეს
 — ფრთხილად, ღვინო არ გადაასხა კლავიატურას —
 და ვთქვათ იტალიისა და ესპანეთისა,
 ჩვენიცა ვთქვათ,
 ვთქვათ სმოგვაცლილი ცისა
 და ქუჩებიდან უჩვენოდ წასული გაზაფხულისა,
 ვთქვათ ფანჯრებიდან დანახული ქალაქისა და ბალახის სუნისა,
 გაგრის ზღვისა და კლარჯეთის გორაკებისა...
 ვთქვათ ღამეების. სიზმრებისაც ვთქვათ.
 ვთქვათ სინანულის.

გეპატიუები ჩემს ვიდუოჩატში ამ საღამოს,
 ცოტა დავლიოთ ჯერ,
 მერე ცოტაც ვისიყვარულოთ.
 მე მოვძებნი დიდრონდუნდულებიან სენიორიტას სადმე პორნოჰაბში,
 შენც დაკუნთული ჯეელი ვინმე მოიდიე.
 აუჩქარებლად,
 ნება-ნება,
 გამთანგველად გავაშიშვლოთ ერთმანეთი მთვრალი ხელებით
 და მივწვეთ გვერდიგვერდ ჩვენ-ჩვენს სანოლებში —
 შენ — კიდისაკენ,
 მე — კედლის მხარეს.
 თითის პეპლებით მიეფერე რეტდასხმულ ძუძუებს
 და იმათ კერტებს,
 ათროლებული ჩაცურდი მერე ჭიპის ქვემოთ,
 გამაგონე შენი შიშველი კვნესა ყურსაცვამში
 და დამაჯერე,
 რომ ჩემზე ოცნებობ.

დღეები წვიმაში

წვიმაში არავინ დადის სასაფლაოზე.
 ჩვენი მიცვალებულები წვიმაში მარტონი არიან.
 ყოფილხართ თქვენ წვიმიან დღეს სასაფლაოზე?
 გინახავთ ახალგაზრდილ საფლავებში ჩამდგარი წყალი?
 თქვენი მიცვალებულებით გაჯერებული ტალახი ფეხზე აკრული შინ წაგილიათ?
 მოგისმენიათ ნაღვლიანი წვეთების ცეკვა საფლავის ქვეშე,
 როდესაც აწვიმს მინის სტომაქს, ამოუყორავს,
 და აწვიმს ბალახს,
 აწვიმს ქენჯნას,
 სიჩუმეს აწვიმს...
 აწვიმს მტვრადქცეულ მოლანდებებს, სიზმრებში ნარწევს.
 აწვიმს ჯვრებს, აწვიმს მოაჯირებს, ღობურებს, ყორებს.
 დაუკორტინა ადგილ-ადგილ ჩიყვისფერი ბურუსი ყორანს.
 ჩვილო იესო, შეიბრალებ ყველა, ვინც აქ წევს!
 წვიმს
 და წვიმაში არ დავდივართ სასაფლაოზე.
 ჩვენი მიცვალებულები მარტონი რჩებიან წვიმიან დღეს.
 წვიმიან დღეს მიცვალებულები ველარ ხვდებიან მისაცვალებლებს.
 ნკაპ! — წვეთს ნკაპუნით მიჰყვება წვეთი.
 ნკაპ და — გაყარა სამუდამოდ გზები მისრემ.
 ვინ იყო ეს ქვა? ეს ნარწერა? ძეგლი? პორტრეტი?
 ვინ მეტყვის, მართლა იყავით თუ სხვას დაესიზმრეთ?
 ჰო,
 სურვილების ნამუსრევით საფლავები აქ მოფენილა,
 ძეძვს შეანუნა რძის — ნისლმა — მანტო.
 ხსოვნაში ჩაშლილ შეჩვენებას ჟღარტამი ალტობს,
 ვერა და ველარ გამრა სველი და — ოფელია.

დილაა ზემოთ? თუ საღამო? მინის ღამეში
 თვლემენ აქტრისა მარგარიტა და რადამესი.

გაჩხაკუნდება სათაგური. მორჩა, ეგ არი.
 ყველგან გაუდგამს მურმანს ეკალი.

ქარი გამოფენს წვიმის გულზე ფიქრთა აპოკრიფს
 და ნაშლილ სტრიქონს გადაანერს ზემოდან სტრიქონს.
 არაფერია, არაფერია,
 ორი შენხელაც დატეულა მანდ, ჩემო ტრიფონ.
 ილევა ეს დღეც,
 ისევ აწვიმს საფლავის ქვეშ, ჯვრებს, მოგონებებს.
 აწვიმს ბალახებს,
 აწვიმს ტკივილს
 და დუმის აწვიმს...
 ყოფილხართ თქვენ წვიმაში სასაფლაოზე?
 თქვენი მიცვალებულებით გაჯერებული ტალახი ფეხზე აკრული შინ მიგიტანიათ?

 დილიდანვე ამყვა უფმური.
 დილიდანვე ავყევი უფმურს.
 შუადღისკენ ერთად ვიყავით სუყველანი:
 მე, ჩემი უფმური, ჩემი ცოლი, ბიჭი, ტყუპი გოგოები.
 საღამოს მარტო მე და ჩემი უფმური დავრჩით.
 უქმე დღე იყო.

*
 დილიდანვე ამყვა უფმური.
 დილიდანვე ავყევი უფმურს.
 შუადღისას ჯერ კიდევ ერთად ვმუშაობდით სუყველანი:
 მე, ჩემი უფმური, კოლეგები, მტრები, უბრალოდ თანამშრომლები.
 ნაშუადღევს დირექტორი მოვიდა.
 საღამოს მე და ჩემი უფმური უჯრებს ვცლიდით
 და პირად ნივთებს ჯიბეებში ვიჭურთავდით.
 დეკემბრის ბოლო კვირა ილეოდა.

*
 დილიდანვე ამყვა უფმური.
 დილიდანვე ავყევი უფმურს.
 შუადღისას ერთად ვიყავით სამივენი:
 მე, ჩემი უფმური, ჩემი შეყვარებული.
 ღამით მარტო მე და ჩემი უფმური დავყავით კუჩა-ქუჩა.
 მახსოვს გაზინთული გუბე გადასასვლელზე
 და გუბეში ჩამხრჩვალი მთვარე მახსოვს.
 1981 წელი იქნებოდა.
 არა,
 უფრო — ოთხმოცდარი.

*
დილიდანვე ამყვა უჟმური.
დილიდანვე ავყევი უჟმურს...
...
გავაგრძელოთ, ბატონებო?

2020. თბილისი. ნაგლეჯები გაზაფხულიდან

აპრილი

ანტიბაქტერიული პირბადიდან შესუნთქულო გაზაფხულო,
ქუჩისპირა ხეებზე გაშლილ შენს ყვავილებს
საავადმყოფოს დერეფნების სუნი დაჰყვება.

კომენტანტის საათი

დარჩათ ქალაქი ორფეხა და ოთხფეხა ძაღლებს.

სეირნობის დრო

საძინებლის ფანჯრიდან ლოჯის ფანჯრებამდე ოცდაოთხი ნაბიჯია;
ჰოლიდან სამზარეულომდე — ცამეტი;
სასტუმრო ოთახიდან აბაზანის კარამდე — ცხრა.

ქარიანი დღე

პოლიეთილენის პარკები ქალაქის თავზე ირაოს კრავენ.
ქარი სარეცხის თოკზე უფრიალებს გოგოებს კაბებს.
ქუჩაში უმიზნოდ ინთება და ქრება შუქნიშანი.
ფანჯრიდან მოჩანს გაუნძრევლად მდგარი კორპუსები,
გაუნძრევლად მდგარი გორაკები,
ანძები,
მანქანები.
მარტო ქარია ცოცხალი თითქოს
და კიდევ პოლიეთილენის ეს ორი პარკი,
ილაჯგანყვეტილ ქალაქს თავს რომ დასტრიალებს.

*

ცალ-ცალკე შევხვდით აღდგომას და კვირაცხოვლობას —
გარდაცვლილები — საფლავებში,
გარდასაცვლელნი — რკინა-ბეტონის კუბოებში.

მოსწყდება? განყდება?

სიცარიელის თავზე გადაჭიმულ ნერვზე თვალდახუჭული გადი-გამოდის მოთმინება.

ძილ-ღვიძილი

კედლები მიინევენ კედლებისკენ სიბნელეში.
ჭერი და იატაკი ერთმანეთს უახლოვდებიან.
ჯერ ქრება კარ-ფანჯარა,
მერე — ჰაერიც.

თუ

მაშინ, მაშინ,
შენ მისგან მარჯვნივ ჯვარს გაკრული ავაზაკი თუ იქნებოდი
და თუ ღვთაებრივი ნათელი თვალს აგიხელდა თვალეების დახუჭვის წამს
და თუ ზეციურ სასუფეველს დაიმკვიდრებდი,
რა შეგჩვენებდა ხელთ —
მარადიული ნეტარება
ერშალაიმის თაკარა ბნელში წამის წამით მზის ხილვისთვის მიმადლებული
თუ
მოუშუშებელი სინანული
და მწიკნავი ქენჯნა
(როგორც მოჭრილი ფეხის ქავილი)
იმწამამდელ ზაკვათა და ზრახვათა გამო....

აი მოვედი მამაჩემო ოთხმოცდაოთხის
გახდებოდი დღეს
რომ არ გეჩქარა
შენს სანოლზე წამოზრდილი სარეველა ხელით დავგლიჯე
და გასერილი კანის სისხლი მეამა კიდევც...
მარტო მოვედი მამაჩემო ჩემი შვილები
გადაჩოჩორდნენ
და ძილშიაც არა სცალიათ
მაგრამ რა მიკვირს
მეც ვირი ვიყავ მაგათხელა და შენ და დედა
სადღეგრძელოში მახსენდებოდი
ო
განა ლანდებს დადევნებულ ადამიანს ახსოვს ჰაერი
რომლითაც სუნთქავს?
განა ჰაერიც არ მძიმდება
წასულეებით როცა ივსება?
დროდადრო ქუჩის დაგუდული ფორიაქი შემოაქვს ნიავს
და დახუთულ ჰაერში
ინყებს ფეთქვას ქალაქის სნეზიანი გულისცემა
გადახრილი მზე ეფარება კიპარისებს ფიქრს
სიმარტოვეს
ახლა დამჭირდი ყველაზე მეტად ადრეული ბავშვობის მერე
გაუკაცურდა გზასავალი გრიგალი დაცხრა
ერთი ნაბიჯი
ერთი ბიძგი
ერთი სული
დამრჩა შენამდე...
მოვედი მამა აი მოვედი

სამი

1.

მიედინება სიზმრების მდორე კალაპოტში დასარჩენი დრო
აქ-
სად გავიღვიძებ?
ო, თვალგახელილ
წინათგრძნობებს სძინავთ სიკვდილში.

2.

წამოიშალნენ ნასიზმრალი დუმლიდან მორცხვი სვავები
და მიესივნენ სამომავლო იმედების ლეშს...
გესმის?
გესმის?
მოკვდა ნილაბი
და დარჩა სახე უხილავი ყველა სარკისთვის.

3.

და ეს სიზმარიც,
როგორც...
როგორც...
ასე ღრუბელი მიაცურებს ცხრალ მთვარეს
ქვის ხაფანგში მიმწყვდეული ქალაქის თავზე;
ასე ვილინოს ხეში უკრავს
აცხცახებულნი ჰაერისგან სახედამეჭილ მევილინებს.

ხანდახან, როცა...

ხანდახან ოდნავ გადახრილი სულმოკლედ ჩავიხედები ხოლმე
მეთექვსმეტე სართულზე გამოკიდებული ფარღალა აივნიდან —
ქვემოთ, სულ ქვემოთ და უფრო ქვემოთაც:
ცისკენ თუ ვერა,
მინისკენ მაინც ხომ გავფრინდები.

ნასესხები სიზმრები

ნოტიო ჰაერს
თიხის მტვრის, მეძავის ქვეშაგებლებისა და
ხრწანაშუპარული მოგონებების სუნი შერეოდა.
ცა იყო ნამინარზე დანთებული ელექტროცეცხლის ანაშუქით დარდილი.
წვრილ-წვრილი ვარსკვლავები სწუხდნენ,
რომ ველარ ხედავდნენ ერთმანეთს შეგვიანებული გამველებების თვალეში
(მე ფიქრებს მიმუშავადა ეჭვიანი სიძულვილის გემო).
ლამის პეპლები ეხვეოდნენ ნეონის სისხლით მოსვრილ საცდურებს.
ლამპიონების არითმიულ აბლაბუდებში გატრუნული უხილავი ობობა
სასიცოცხლო წვენს სწოვდა ხეებს, ცხოველებს და ადამიანებს.
მე გახურებული სახით ვგრძნობდი ასფალტის ნიალიდან ამოხეთქილ ჯოჯოხეთს.
მე ვხედავდი რკინის კერპებს, ჩემგან წასული ლანდების სიზმრებს.
მე მესმოდა ვერცხლის წკრიალი, კამათლების ჩხაკუნი,
მიცვალებულების წრიალი საფლავებში.
მერე მოახლოვდა გადამხმარ ფერდობზე
გვერდიგვერდ დაყუდებული უსახური შენობები.
ორფეხებზე შემდგარი ანონილი კორპუსი.
მეთექვსმეტე სართული.
სახლში შევედი,
ფანჯარა დავხურე
და ფეხები გავინმინდე.
— მოვედი, შინ ვარ! — უხმოდ გავძახე ცარიელ ბინას,
მაგრამ ექვს მარტო სარკის უკბილო ჩიფჩიფი მომიბრუნა.
მე მხრები ავიჩიე,
ბეჭებზე დამაგრებული სილიკონის ფრთები მოვიხსენი
და კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე ჩამოვიკიდე.
მახსოვს,
ადრე მანდ ის ჩონჩხები ეკიდა ხოლმე,
ყველა რესპექტაბელურ ადამიანს ტანსაცმლის კარადაში რომ აქვს შეჩქმალული,
მაგრამ მერე მომბეზრდა მაგათი კაეშნის ამშლეი ოხერა და ჩხარაჩხური
და დიდედაჩემის ნამზითვი ტახტის მინას მივაბარე.

მაიას

უფსკრულს როცა მიადექი,
როგორ აღარ გაგახსენდა,
რომ ფრთები —
შენი საშიში და დამყოლი სიზმრით მოქსოვილი ფრთები —
სარეცხის თოკზე გასაშრობად გაფენილი დაგრჩენოდა...

სანთელი

თვითმკვლელის საფლავზე დანთებული

ეგებ ეს ალი —
გადაქლეშილი კანივით მფეთქავი ხან სუსტად,
ხანაც უფრო სუსტად —
ერთადერთი სალბუნია
საკუთარი სულის თვალახელილ უკუნეთში.

მედეას

სძინავს ჩემს ტანშიც მინდობილად ეჭვიან სიკვდილს
და ელის იმის გაღვიძებას მშვიერი მინა.





ჯუანშერ
ტიკარაძე

ქვესკნელის თავზე გაბილონია

თავი პირველი
პროლოგი

მე ამ რომანს არც თქვენ გასაოცებლად ვწერ,
არც დასაფიქრებლად
და არც შესაშინებლად:
ყველას ჯანდაბამდე გზაც გქონიათ.

თავი მეორე
ექსპოზიცია

ზანტად გადავთვალე
(თან ვცდილობდი,
თითოეულის მზერა დამეჭირა)
ჩემ წინ ჩამომსხდარი თანამეტროელები —
ხუთნი იყვნენ სულ:
მოდლლეზილი ზანგი,
ბაყუბგადმოყრილი რუსის დედაკაცი,
ჩია ჩინელი ან ვიეტნამელი,
ჰიჯაბიანი არაბი თუ ირანელი
და ერთიც საყურეებიანი-სვირინგებიანი ადგილობრივი პედერასტი.

თავი მესამე
კვანძის შეკვრა

უცებ წარმოვიდგინე,
ჯოჯოხეთის მეზობელი შრიდან როგორ შემოალაჯა ჩვენს ჯოჯოხეთში
ორას ცამეტი წლის წინ
ფორტ ქლინჯში,
მუხის ტოტზე ჩამოკონიანებულმა უხეშმა და სენტიმენტალურმა მსროლელმა
(მას ნათლობის სახელი უმანკოებდასთან ერთად დაეკარგა
და რამდენიმე ურთიერთმოსაზღვრე შტატის მოსახლეობა
„მჭავე იგუანას“ თიკუნით მოიხსენებდა),
რომელსაც,
მექსიკელების, ზანგებისა და ინდიელების გარდა,
ახალი სამყაროს ჩვიდმეტი ახალმოსახლე ჰყავდა გასტუმრებული
ძველ სამყაროზეც ბევრად და ბევრად ძველ სამყაროში.

თავი მეოთხე
სიუჟეტის განვითარება

მყრალი იგუანა —
თითქოს შტორმში მოხვედრილი ხომალდის მეზღვაური —
დარწმუნებული ნაბიჯებით წამოვიდა ჩემკენ
და მიწისქვეშა ხომალდის სკამზე,
ჩემს ადგილზე კი არა,
ზედ ჩემში ჩამოჯდა.

თავი მეხუთე
სიუჟეტის განვითარების განვითარება

მან/მე ისე დაუდევრად გადავთვალეთ
ჩვენ წინ ჩამომსხდარი თანამინისქვეშეთელები,
როგორც კოლოები მწერებისგან დამცავ ბადეზე —
ხუთნი იყვნენ სულ:
ქონმოკიდებული ზანგი,
შილიფად გახდილი რუსის დედაკაცი,
გალეული ჩინელი თუ ვიეტნამელი,
თვალეზდაუფარავი არაბი ან ირანელი
და ერთიც არააქაურად მოხატული აქაური პედერასტი.

თავი მეექვსე
კულმინაცია

მან — გაჩეული და დაუდევარი მოძრაობით/
მე — მოუხეშავად და უგერგილოდ —
თედოს შერდილი გაქუცული ბუდიდან იარაღს ამოვაცოფინეთ
გველის კანივით მოლაპლაპე ტანი,
საჩვენებელ თითზე დავაბზორიალეთ
(მე — მოუქნელად),
ჩახმახი ფეხზე შევაყენეთ
და
(ეს ისე ნათლად წარმოვიდგინე,
რომ ვიგრძენი კიდევაც,
როგორ დამიმძიმა „კოლტმა მშვიდობისმყოფელმა“ მაჯა)
ჩემებურ პედერასტს უხვად მოპირსინგებულ წარბებს შორის დავეუმიზნე.

თავი მეშვიდე
ლირიკული გადახვევა

ბავშვობაში,
ჯერ კიდევ მაშინ,
როდესაც სულ სხვა სახელი ერქვა,
რომელსაც წლების შემდგომ
მონონგაპელას ცეცხლოვანი ვისკის ობივიარში მოხითხითე ეშმაკსაც კი უმაღლავდა,

ჩვენს მომავალ მსროლელს არ იზიდავდა ლეკვებისა და კნუტების ნვალემა;
არც ბაყაყების გაბერვა.
მას სიამოვნებდა,
ძროხები ხელებს, ტანსა და სახეს რომ ულოკავდნენ.
უყვარდა მზისგან დაჭორფლილ კანზე ხაოიანი ენის ნოტიო და ხეშეში შეხება.
ერთხელ ძია ბილის ნაგაზსაც აალოკინა თავი,
მაგრამ არ მოეწონა
და ისევ ძროხებს მიუბრუნდა.

თავი მერვე
კვანძის გახსნა

— პუხ! პუხ! პუხ! პუხ! —
ხუთჯერ გამოვკარი სასხლეტს საჩვენებელი თითი
და ცერით ოთხჯერ გადმოვნიე ჩემკენ ჩახმახი.
უხილაგმა ცელმა ერთმანეთის მიყოლებით გადაჭრა
სადღაც ზემოთ,
აქედან უხილაგ ცაში
უხილაგ თითებს გამობმული უხილაგი ძაფები.
ხუთი ხორცთმობრძავი მარიონეტი
ერთმანეთის მიყოლებით დაცურდა ქვესკნელისკენ
და გაშეშდა სამარადუამოდ.

თავი მეცხრე
ეპილოგისწინა

მ. იგუანა კვლავაც დარწმუნებული ნაბიჯებით დაიძრა
საკუთრივ თავისი ჯოჯოხეთისკენ
(გზად აბორიგენ პედერასტს ნაჰკრა ჩექმა
და საყურის ჩრდილი შეუთამამა).
მე მარტო დავრჩი ჩემს შინაურ ჯოჯოხეთში,
ჯერაც მხრჩოლავი „მშვიდობისმყოფლით“ ხელში.
მის ნიალში უკანასკნელ ტყვიას ასკეტის მშფოთვარე და ნეტარი ძილით ეძინა.

თავი მეათე
ეპილოგი

ჩემ ხელმარჯვნივ მჯდომ სამოციოდ წლის სიმპათიურ ინტელიგენტს
თავაზიანად ვთხოვე სიგარეტი,
ხელმარცხენას კი —
სუფთად გაპარსულ ჯანსაღ ახალგაზრდას —
სანთებელით მოვაკიდებინე
და ნეტარებით გავაბოლე
(ცხრა მთელი ექვსი მეათედი წლის შემდეგ პირველად!).
მორახრახე ჯოჯოხეთში პოლიციის შემოჭრამდე
კიდევ ორი გაჩერება იქნებოდა დარჩენილი.

თავი მეთერთმეტე
დასასრული

ნამწვი ძირს დავაგდე
და ქვესკნელისგან გამომყოფ თხელ ძგიდეს ფეხით დავასრისე.
მერე „კოლტს“ დავეხდე,
შევაბრუნე-შემოვებრუნე,
სამი თითი დოლურას ძალუმად დავუსვი და დავატრიალე —
ერთხელ, მეორედ, მესამედ...
სულ ბოლოს კი
იარაღის ტარი ორივე ხელში მოვიქციე,
საჩვენებელი თითებით სასხლეტი მოვსინჯე,
ჩახმახი ცერებით გადავნიე,
ლულას სიმარტოვის შემწოვი ხერელი ზემოთ,
აქედან უხილაგი ცისკენ ავაშვერინე
და ნიკაპის სამკუთხა ძვალსა და ხორხს შუა რბილობზე მივიბჯინე.

თავი მეორთმეტე
P.S.

თქვენ როგორ ფიქრობთ,
მერამდენე გამოკვრისას გაისროდა?

სიამის ტყუპებს დაუცლელი სამსალა ერგოთ! —
სწუხს ქვის სიზმრებში სიცოცხლის და სიკვდილის დედა.
ჩვენ კი კვლავ ვეძებთ ვარსკვლავეთის ჩახერგილ ერდოს,
ცაც მარტო მღვრიე გუბის წყლიდან თუ ამოგვხედავს.
და არის ყოფნა — გველისფერი გვემის შეცნობა.
წრფე, წრედ შეკრული, ჩვენი გზაა, მზით და ლანდებით...
გავიმეორებთ სათითაოდ ყველა შეცდომას,
როცა ხელახლა სატანჯველად დავიბადებით.

მარტო სარკეში დავბერდი,
სარკეებში, თვალბში, ვიტრინებში...
ძილისა და ღვიძილის სიზმრებში კი მაინც ის ვარ,
ვინც მარადის(ი) ვიქნები.

მაგრამ რა არის სული სარკისთვის?
ან თვალგახელილ გვამთათვის ზეცა.
ბარბაცებს ქარი — მთვრალი არტისტი.
ნასიზმრალ ქუჩას უდაბნოს მზე რწყავს

სისხლით. ყველანი ამ ქუჩით გავალთ,
ო, მიწადქცევის ხვედრო მურდალო.
რა არის ხსოვნა? მხრჩოლავი კვამლი.
არ ვტირით. კვამლი თვალს გვწვავს უბრალოდ.

კვამლი

სად აღარ ვიყავ, რა აღარ ვნახე...
ხოლო სულ ბოლოს სხვა სიზმარში გამოვიღვიძე.

ვეცემი. ვეცემი.
ვიღვიძებ.
ნამ და ნამ იწყებს სხეული ტკივილს,
გონება — შიშს,
ჯუანშერი — არსებობას.

ინთება, ქრება
ლამპიონი.
ნიმნების წნელით
წნავს მოლოდინი შემცდარ არჩევანს.
არ შეიცვლება
არაფერი
ათასი წელი,
სხეული წავა, ჩრდილი დარჩება.
დაუბრუნდება
ისევე მინას
დამცხრალი მტვერი,
ცისკენ დაძრული მღვრიე ზვირთებად.
არ შეიცვლება
არაფერი
ათასწლის მერეც.
ინთება. ქრება. ქრება. ინთება.

ინგრევა ჩემი სატუსალო ბათქაში ცვივა გადაიქვრცლა
საღებავი ვიცი ნესტგამჯდარ
საყრდენ კონსტრუქციებს აღარ ნებავთ სხეულის
ზიდვა კედლები დასკდა ო მალე
მალე მე გავანგრევე ჟანგით შექმულ დაღლილ
გისოსებს
პო ან
ცალ ანჯამაზე მოჭრილ კარიდან
გავალ
წინ უფესკრულია
ხოლო ნანგრევებს დაფლავენ მინად რომლისგანაც
იგი მოიღეს

მ.მ-ს

He говори со мной! Что я тебе отвечаю?
Осип Мандельштам

ქუჩა. ქუჩაში კვალი. და კვალმა
ფიქრს შეუღვიძა სუნთა იელი.
ბინდმა მაცდური სევდით დაკვამლა
კორპუსებს შორის ცა ცარიელი.
რა ხდება იქით? მერე?.. ერიპა,
ღმერთიც ბეზრდება კერპების მტვრევით.
მე ვარ აქ. ახლა. ეს მიწერია,
ვიყო მტვრით სავსე ქუჩების მტვერი.
და ცვლის ხრწნადი ხრწნადს, ბედი — საბედოს
ნალალატევი რითმის სიცხარით.
ჩასქელდა კვამლი, ცა შეადედა...
მელაპარაკე! რამე მითხარი.

ისე ვარიდებ
ჯვარზე გაკრული მაცხოვრის ხატს თვალს,
თითქოს პატარა ბიჭი ვიყო
და მშობლებს ვუმაღავდე,
სახლში ფანჯრის შუშა მე რომ ჩავამტკრიე.

განვიმდა, აი, ასფალტის სუნმა
უკვე უნია ზედა სართულებს.
სიყვარული ხო შხამია, მურმან,
საფლავიდანაც ჩხელეტს და აწყლულებს.
ანდა ეს ორნიც... ლანდნარს რად ელტვით
ენებებით სიზმრის გადასამამბად,
თუ ხელუკუღმა შეყრილი ფეტვი
ორშაბათს შეყრილთ გაგყრილ სამშაბათს.
პო, შავი დანაც, ზედ ფიცის სისხლით!
გულისხმა დამტკნარ ფოთლებსაც მიღევს,
როცა გეენა აამღვრევს რისხვით
სულს მკებნარივით დახვეულ ჩრდილებს.
და წავა სევდაც, შეარხვეს ეთერს,
უსასობის მტვრით რომ შებოლოს...
წვიმს, ლამის სარკმელს ეცემა წვეთი
და სხვა წვეთს ერთვის სამყაროს ბოლოს.

ჩემი სიზმარმკვდარი ლამეების მშობელო დღეებო,
ვინლა ჩაგჩურჩულებო,
რას უნდა უფროსხოდეთ
აფთრებით დაყუნცული ეჭვების რკალში.

2020 წლის 8 ოქტომბერს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში გადაეცა ამერიკელ პოეტ ლუის გლიკს. როგორც ყოველთვის, ამ პრიზით პოეტის დაჯილდოებას დიდი გაცემა და მიტქმა-მოტქმა მოსდევს. ასე იყო 2011 წელსაც, როცა ტომას ტრანსტრომერმა მიიღო ეს ჯილდო. ასეთ დროს მკითხველები და კრიტიკოსები უმალ ერთვებიან ხოლმე საქმეში — უსწრაფესად ცდილობენ პრემირებული პოეტის აღმოჩენას ან თავი მოაქვთ, რომ იცნობდნენ მას. თუ ახლანდელ პრესას გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩინებ რომ დღესაც იგივე ხდება. ნობელის პრემია მიენიჭა 1943 წელს დაბადებულ ოცი წიგნის ავტორს, რომლის წარმატებული დებიუტი შედგა 1968 წელს პოეტური კრებულით — „პირმპო“ (Firstborn). ამჯერად, ჩვენ შეგნებულად არ ვითამაშებთ და, უბრალოდ, აღმოვაჩინებ ლუის გლიკს. ის ფაქტი კი, რომ ამერიკული პოეზია უკვე დიდი ხანია, ხარისხიან პროდუქტს დებს ლიტერატურულ დახლზე და რომ მას მაინც ძალიან ცოტას ვთარგმნით, მისი ლექსების წაკითხვის სურვილს უეჭველად გავგიჩინებ. მითუმეტეს, რომ მისი არცერთი წიგნი არ აღმოგვაჩნდა ფრანგულად ნათარგმნი. მისმა 1993 წელს მიღებულმა პუბლიცერმატიკა ვერცერთ გამოცემულს გაარისკინა მისი ლექსების გამოცემა. აი, ამიტომაც საჭირო ლიტერატურული ჟურნალების არსებობა, ამიტომ უნდა მიექცეს დიდი ყურადღება მათ გამოცემას და ხელმისაწვდომობას. მათ, ყველა სხვა გამოცემათაგან განსხვავებით, თავიანთი ანტენები აქვთ პოეტური ხმების დასაჭერად და ტექსტების სათანადოდ აღსაქმელად, ხოლო მთარგმნელებს ამოუწურავი ცნობისმოყვარეობა და რისკის გემო უცნობ მკითხველამდე მათი ფოროვანი სტრუქტურის მისატანად.

ამრიგად, ჟურნალმა Europe N 1009-ში დაბეჭდა გლიკის ოთხი ლექსი, ხოლო მიშელ დევის (2020 წლის გონკურის გამარჯვებული პოეზიაში) მიერ დაარსებულმა ჟურნალმა Poésie 1985 წლის N34-ში კლოდ მუშარის და ლინდა ორის მიერ თარგმნილი ლექსები. სწორედ მათ გააცნეს პირველად ლუის გლიკი ფრანგ მკითხველს. შემდეგ 1999 წელს რაიმონდ ფარინამ თარგმნა გლიკის „რვა ლექსი“, ხოლო 2014 წელს მარი ოლივიემ მისი „ველური ზამბახი“ (The Wild Iris). ეს ჟურნალები რომ არა, ფრანგ და ფრანგულენოვან მკითხველს საერთოდ არაფერი ეცოდინებოდა გლიკის შესახებ.

ჰოდა, აღმოვაჩინებ ლექსები, რომლებსაც თითქოს აკლია ერთგვარი გამჭვირვალობა, თუმცა ერთობ თვალშისაცემია ფორმალური სოფისტიკაციის საინტერესო მცდელობები. მისი ერთ-ერთი კოლექცია ბლინგვერია და უცნობ სამყაროში უმალ მოხვედრის საშუალებას იძლევა. აი, რას ნერენ კლოდ მუშარი და ლინდა ორი მის შესახებ: „ლუის გლიკი არ მიეკუთვნება ტრადიციული ყაიდის პოეტთა ჯგუფს. თავადაც ასე მიაჩნია: „რა თქმა უნდა, აღფრთოვანებული ვარ სივინითა და დიკინსონით, მაგრამ მე მათთან სხვა სიახლოვე და ვალდებულებები გამაჩნია“. მართალია, ელიოტი, უილიამსი, პაუნდი, ოპენი (Oppen), კავაფი (Cavafi), რილკე და სილვია პლათი ხშირად სტუმრობენ მის პოეზიას, მაგრამ ყოველთვის ცდებიან და ნაღმების სახით. სილვია პლათს და მას მხოლოდ ერთი საერთო აქვთ — სრულყოფის დაუოკებელი სურვილი და ქალსა და მამაკაცს, მამასა და შვილს შორის ურთიერთობების უმოწყალოდ გაშიშვლების სურვილი, შვილისა, რომლის „მკაცრი ღიმილი“ მიუთითებს, რომ „მას ესმის მისი“. ალბათ სწორედ მის ამ თვისებებში შეიძლება, ვეძებოთ ნობელის ჟიურის გადაწყვეტილების საფუძველიც. ერთგვარად მაცდუნებელი სკანდალი,

ლუის გლიკი

ნითელი ყაყაჩო
კრებულიდან „ველური ზამბახი“

დიდებულ საგნებს
სადა აქვთ გონება.
აი, გრძობები რამდენიც გინდა:
მეც მათ შორის ვარ,
მეც განმაგებენ,
ცად მზე მეგულვის
ბატონად ერთად.
მისთვის ვიშლები,
მის დასანახად ვინთებ
გულში ცეცხლს —
დასტური მისი არსებობისა.
გული რომ არა,
რას შეძლებდა, აბა, დიდება?

დანო და ძმანო, იქაც მოგწონდით,
სადაც ოდესღაც კაცნი არ გერქვათ?
ინებებდით კი ერთხელ ვაშლას
სამუდამო არგამლის ფასად?
რადგან ამჯერად, სიმართლე გითხრათ,
მეც თქვენ დღეში ვარ, თქვენსავით ვმსჯელობ,
მომწყვდიტეს რადგან.

სცილა
კრებულიდან „ველური ზამბახი“

მე არა, არც შენ, პირადად, არ ვართ
იდიოტნი, ლურჯი ცის ზვირთები



რომელიც აშკარად ჯდება დროის ფსონებში — დააჯილდოვო პოეტი, და ამასთან ქალი, ეს ნიშნავს მხარს უჭერდე მას. ამ მიდგომის ირგვლივ მარი ოლივიეს სიტყვები ნათელს ჰფენს ყველაფერს: „მისი პოეზია ქალს მხოლოდ მისთვისვე წინააღმდეგობის განვითარებას ეხმარება“. გლიკის ლექსები თემატიკურად ნამდვილად შეიძლება განიხილო როგორც ქალური და არა ფემინისტური. დიკინსონთან მისი ალუზიურობა, როგორც ადამიანური ურთიერთობებით, ისე ლექსებით, სრულიად ამხელს ამპერსტში გაზრდილი ქალის გავლენას ლონგ აილენდში გაზრდილ ქალზე. ამ ორს საერთო აქვთ „მე“-ს ფრაგმენტული წარმოჩენის და საკუთარი გამოცდილებით გამყარებული ხმის განსაკუთრებულობა, რომელსაც შეუძლია, გვერდ აუაროს მკაცრად განსაზღვრულ პოეტურ ყანრს. ამგვარად, გლიკის პოეტიკა იკვლევს საგნის ინტიმურობას პირადულის ნაკლებად ჩვენებით. მისი ეგო სხვადასხვაგვარია არა მარტო სხვადასხვა კრებულში, არამედ სხვადასხვა ლექსშიც კი, რაც გამორჩეულად ჩანს მის „ველურ ზამბახში“, სადაც ავტორის ლირიკული მე ერთდროულად კალეიდოსკოპურიცაა და მრავალრიცხოვანიც, მუდმივად ცვალებადიც და გაბედულად ორბზოვანიც თავის მიმართებებში.

გამომცემლები ერთგვარ რისკს ხედავენ თარგმნილი პოეტების გამოცემაში, არადა გამომცემლობამ Le Bruit du temps აღმოგვაჩინა ანრი კოული (Henri Cole — 1956 წელს იაპონიაში ამერიკელი სამხედრო მამისა და სომხური წარმომავლობის ფრანგი დედის ოჯახში დაბადებული ამერიკელი პოეტი), გაგვაოგნა ჟურნალ Re-hauts-ში დაბეჭდილი ამერიკელი პოეტის Amy Clampitt (1920 წ.) ლექსებმაც, ახლა კი გლიკის პოეზიამ, რომლის ლექსებიც მცირე ნაწყვეტების სახით დაიბეჭდა ლიტერატურულ ჟურნალში — Poésie. და რადგან ხშირად გვეკითხებიან ჟურნალ-გაზეთების დანიშნულების, მათი ადგილისა და როლის შესახებ... ა, ბატონო, სწორედ ნობელის ეს საოცარი გადაწყვეტილება გვახსენებს, რომ მათი პლასტიურობა და ფორმა, მათი ღიაობა გვაძლევს საშუალებას, სხვათაგან დამოუკიდებლად გადავდგათ სარისკო ნაბიჯები, გავხედოთ პირველი აღმოჩენების ისეთი ნაწერებისა, რომლებიც მოგვიანებით იძენენ აზრს და, აქედან გამომდინარე, გავაცნობიეროთ, რომ სწორედ ასეთი გამოცემები დგანან ლიტერატურის საგუშაგოზე თავიანთი გამბედაობითა და კომპეტენტურობით.

ჰუმო პრადელი (ჟურნალი „Ent’revues“)

ვართ განმკიცხავნი მუდმივად
ცათა... რად გეძვირფასება, მითხარ,
შენი ხმა, თუ ყოფნა რამედ მაინც ნიშნავს
არაფრად ყოფნას? მალლა ყურებას
რა გრჯის? რას ელი მალლით — ექოს,
როგორც ღმერთის ხმას? არადა,
ყველა ერთნი ხართ ჩემთვის — მარტონი,
მუდამ ზემდგომნი სხვათა, ქარაფშუტული ყოფის
მგემგავნი, იქით მავალნი, სადაც ბოლო
ყველას ერთი აქვს, იქ, სადაც ქარნი გადაგრგავენ
სამარადისოდ. შენც და იმ სხვასაც და, იქაც, მუდამ
დაბლა მაცქერალთ, წყლის რაღაც ხატის დანახვისას,
რისი ხმა გესმით?
ტალღებისა და ფრინველთა გალობის.

სიყვარულის შიში

ჩემს გვერდით ახლა მხოლოდ უგრძობი ქვა დევს.
არადა, ერთ დროს თვალებიც ჰქონდა.
ლაპარაკობდა, მახსოვს, ოდესღაც.
მახსოვს, იმ ზამთარს
დღისით — მზე ცეცხლის მუზარადს იხდენდა,
ღამით კი მთვარის ანარეკლს ეტრფოდა.
ნათელი მათი ისე უტიფრად გვაგმებდა მალლით,
თითქოს მხოლოდ კვალის დასატოვებლად ვინეკით.
სადაც,
თოვლში ჩავარდნილ მხოლოდ ორის ზერეულ ჩრდილად.
ხოლო წარსული, როგორც ყოველთვის, ჯერ ისევე ერთი,
ჯერ ჩაუვლელი, გამხლართულიყო ჩვენს წინ და ვიდრე
ერთმანეთს სახელოებში ხელეებს ვუთბობდით,
ჩვენ რომ დავასახლეთ,
იმ მწვერვალებიდან გარბოდნენ ღმერთები.

გაგრძელება
დასაწყისი N266, 271, 275

თავსდატეხილი მოულოდნელი მწუხარების მიუხედავად, იმ მომენტში ელიზაბეთი უკვე მეფური სიმტკიცით ცდილობდა მოძალბებული ცრემლების შეკავებას და მალევე საქმიანად ჩაუჯდა ვიზიტის გასაუქმებლად საჭირო წერილების თუ დოკუმენტების მომზადებას, ხოლო თანმხლებ ფოტოგრაფს სთხოვა, რომ მისთვის იმ დღეს სურათები არ გადაეღოთ, თუმცა რომც გადაეღოთ, არაფერი მოხდებოდა, რადგან სიტუაციის ესოდენ მოულოდნელი ცვლილების მიუხედავად, თავი უაღრესად ღირსეულად ეჭირა და არათუ მამინ, მის თვალზე ცრემლი არავის შეუმჩნევია მერეც, როცა იგი თავისი მცირერიცხოვანი ამალით ჯერ მანქანით იქვე, ნიერისთან ახლოს, ზედ ეკვატორზე მდებარე ნანიუკის აეროპორტში მივიდა და მერე იქიდან პატარა თვითმფრინავით არა ნაირობიში, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ, უსაფრთხოების მიზნით, სულ სხვაგან, უგანდის ქალაქ ენტებეში ჩაფრინდა, სადაც მას სამხედროების ალყით საიმედოდ დაცულ აეროპორტთან ერთად შავებში ჩაცმული უგანდის გუბერნატორი ენდრიუ კონი დახვდა, რომელმაც ოფიციალური მისამძიმრების შემდეგ წყვილი აეროპორტის მენეჯერის კაბინეტში შეიპატიჟა, რომელიც საგანგებოდ მოეწყობა მათთვის, მაგრამ პრინციცამ მხოლოდ უაღკოპოლო სასმელი მოითხოვა და აეროპორტის რესტორანში ჯდომა ამჯობინა, სადაც რამდენიმე საათს მოუხდა დარჩენა, რადგან მოულოდნელად ამოვარდნილი გრიგალის გამო დაწინაურდნის აფრენა შეუძლებელი გახდა, ხოლო უკვე მას მერე, რაც ოთხმოცობისა თვითმფრინავმა შუალამისას ენტებეს აეროდრომიდან გეზი ჩრდილოეთისკენ აიღო და პილოტმა ლონდონიდან რადიოთი მიღებული ჩერჩილის სამძიმრის სიტყვები გადასცა, პრინცესა ატირდა, მაგრამ მალევე ისევ აიყვანა თავი ხელში და სრულიად აკრეფილი იყო რამდენიმე საათის შემდეგ ლიბიაში, ელ-ადემში, სადაც თვითმფრინავი კიდევ რამდენიმე საათით შეყოვნდა, და მით უმეტეს სავსებით მობილიზებული იყო მეორე დღეს ჰითროუში, როცა გაერთიანებული სამეფოს ახალი მონარქის დასახვედრად ბიძამისთან, განსვენებული მეფის უმცროს ძმასთან, გლორესტერის ჰერცოგ ჰენრისთან ერთად პრემიერი ჩერჩილიც გასულიყო აეროდრომზე თავის მინისტრებისა, კლემენტ ეტილის და ენტონი დენის თანხლებით და ეს პატიოსანი ჯენტლმენები გვარაიანადაც გაიყვინნენ ლონდონის უყუმურ ამინდში, სანამ ელიზაბეთს სასახლიდან გამოგზავნილი ძაძები აუტანეს ბორტზე, რადგან ჯერ კიდევ ენტებეში გაიკვია, რომ პრინციესის მთელი გარდერობი, სამეგობარო ტანსაცმლის ჩათვლით, უკვე მოზბასის გზას ადგა და ელიზაბეთი ერთადერთი მოჩითული კაბის ამარა იყო დარჩენილი, და სწორედ ამ შემთხვევის გამო იმ დღიდან მოყოლებული, ბრიტანეთის სამეფო კარზე წესად დადგინდა, რომ მემკვიდრე უფლისწულს ნებისმიერ მოგზაურობაში მუდამ თან დააქვს სამეგობარო სამოსი, მაგრამ ჯერჯერობით სულ ტყუილად, რადგან ღვთისგან დაცული 94 წლის დედოფალი ისევ მხნედაა, ხოლო მემკვიდრე უფლისწული, მისი სამეფო უმაღლესობა, უფლის პრინცი ჩარლზი, რომელიც ჩემ მიერ აღწერილი კენიური ამბობისას ჯერ მხოლოდ მეოთხე წელში იყო გადამდგარი, უკვე 72 წლისა მოიყარა, თუმცა ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ არა ასაკის ან, ჯვარი სწერია, მოულოდნელი გარდაცვალების გამო, არამედ მისი მეორე, როგორც თვლიან, შეუფერებელი და სკანდალური ქორწინების მიზეზით, არ არის გამორიცხული, რომ ელიზაბეთის შემდეგ დიდი ბრიტანეთის სამეფო ტახტზე ჩარლზი კი არა, ელიზაბეთის პირველი შვილიშვილი, მისი სამეფო უმაღლესობა, კემბრიჯის პრინცი უილიამი ავიდეს, რომელიც ახლა 37 წლისაა და რაკი სიტყვამ მოიტანა, არ დამეზარება და ამ ჩემს ტექსტში პატიოსნად გადმოვიწერ ბრიტანეთის ტახტის პრეტენდენტთა თითქმის 60-კაციან-ქალიანი სიის პირველ ოცეულს და ჩამოთვლას, რაკი პირველი ორი უკვე დავასახელებ, პირდაპირ მესამე პრეტენდენტიდან დავიწყებ, რომელიც გახლავთ დედოფლის პირველი შვილთაშ-



პაატა ნაცვლიშვილი
ვეფხვისტყაოსანი
ფრაგმენტი პირველი:
კენის კენაეოები

ვილი და პირველი პრეტენდენტის პირველი შვილიშვილი, (3) მისი სამეფო უმაღლესობა, კემბრიჯის პრინცი ჯორჯი, 6 წლისა, რომელსაც მოსდევს მისი დაი, (4) მისი სამეფო უმაღლესობა, კემბრიჯის პრინციესა შარლოტა, 4 წლისა, რომელსაც შემდეგ მოდის ამათი უმრწემესი ძმა, (5) მისი სამეფო უმაღლესობა, კემბრიჯის პრინცი ლუი, ერთი წლისა, ვისაც მოჰყვება თავის-სავე ნებით სამეფო ტიტულისგან განხილული, (6) პრინცი ჰარი, მემკვიდრე უფლისწულის ჩარლზის უმცროსი შვილი, სასექსის ჰერცოგი, 35 წლისა, რომელსაც მოსდევს მისი ძე, (7) არჩი მაუნტბატენ-უინძორი, ერთი წლისა, რომლის შემდეგ მოდის (8) მისი სამეფო უმაღლესობა, პრინცი ენდრიუ, დედოფლის მეორე ვაჟი, იორკის ჰერცოგი, 60 წლისა, ვისაც მოჰყვებიან მისი ქალიშვილები — (9) მისი სამეფო უმაღლესობა ბეატრის იორკელი, 32 წლისა და (10) მისი სამეფო უმაღლესობა ევეგენია იორკელი, 30 წლისა, რომელთაც მოსდევს (11) მისი სამეფო უმაღლესობა, პრინცი ედუარდი, უესექსის გრაფი, დედოფლის უმცროსი ვაჟი, 56 წლისა, ვისაც მოჰყვება მისი ორი შვილი — (12) ლორდი ჯეიმსი, სევერის ვიკონტი, 13 წლისა და (13) ლედი ლუიზა უინძორი, 17 წლისა, რომლის შემდეგ მოდის დედოფლის ერთადერთი ქალიშვილი, (14) მისი სამეფო უმაღლესობა, სამეფო პრინციესა ანა, 70 წლისა, რომელიც, სხვათა შორის, ერთადერთია აქ ჩამოთვლილთაგან, ვინც ტრიტოპსშიც ბრძანდებოდა 1971 წელს, ხოლო ამას მოსდევს მისი ვაჟი (15) პიტერ ფილიპსი, 43 წლისა, და ორი შვილიშვილი — (16) სავანა ფილიპსი, 10 წლისა, და (17) აილა ფილიპსი, 8 წლისა, რომელთა შემდგომ პრეტენდენტთა სიაში არიან პრინციესა ანას ქალიშვილი (18) ზარა ფილიპს-ტინდალი, 39 წლისა, და მისი გოგონები — (19) მია გრეის ტინდალი, 5 წლისა, და (20) ლინა ელიზაბეთ ტინდალი, 2 წლისა და ძალიან საინტერესოა, რომ ამ ოცი პრეტენდენტიდან ყველა ილიზაბეთ II-ის ეპოქაში არიან დაბადებულები,

პრინც ჩარლზისა და პრინციესა ანას გარდა, რომლებიც ელიზაბეთს პრინციესობის პერიოდში შეეძინა და კენიაში იმ პირველი მოგზაურობისას იგი უკვე ორი შვილის დედა გახლდა და, ბუნებრივია, როდესაც ტრიტოპსის ვერანდიდან წყალსატევის გარშემო შემოჯარულ ნადირ-ფრინველს თავისი სინეკამერით იღებდა და იღებდა და იღებდა, იმაზეც ფიქრობდა, რომ ამ კადრებს ბავშვებსაც აჩვენებდა, რომლებიც უფლისწულები კი ბრძანდებოდნენ, მაგრამ იმ უტყვევებორო ეპოქაში სულაც არ იყვნენ განვლებული „ენიმალ პლანეტის“ მსგავსი სანახაობებით და მათთვის, მაგალითად, დიდად საინტერესო იქნებოდა დედაპაატის მიერ ტრიტოპსის ვერანდიდან გადაღებული მარტორქების ორთაბრძოლა, რომელიც თითქოს სპეციალურად საპატიო სტუმართათვის დადგმული სპექტაკლი იყო, მაგრამ ეს ორთაბრძოლა შედგება მეორე დილას, წინა საღამოს კი, როცა პრინციესა კორბეტს „კუმბონის კაცი-ჭამიების“ შესახებ და მამამისის მონადირეულ მიღწევებზე ესაუბრებოდა, იგი სადილად მიიწვიეს დიდ მაგიდასთან, რომელიც შვიდი პერსონისთვის იყო გაშლილი და ის იყო, კორბეტი ოთახის შორეული კუთხისაკენ გაემართა, რომ პრინციესამ თავაზიანად ჰკითხა, ნუთუ თქვენ არ გსურთ ჩვენთან ერთად სადილობა და ამ სიტყვებთან ერთად ედინბურგის ჰერცოგმა კორბეტს თავის სავარძელზე მიუთითა და თავისთვის კედლის გასწვრივ ჩარჩეული მაგარი სკამებიდან ერთ-ერთი მოინია, რამაც კორბეტის შეცბუნება გამოიწვია და წერს კიდევ თავის მოგონებაში, არა მგონია, ჰერცოგი ოდენვე ამგვარ სკამზე მჯდარიყო, მაგრამ პრინციესისა და ჰერცოგის შეთავაზებაზე უარს ვერაფრით იტყობდა, ცალკე ზრდილობისა თუ ეტიკეტის და ცალკე პატივისა თუ ინტერესის გამო, და ისიც მიუხედავად დიდმშვენიერ სუფრას, რომელიც თავიანთი სტუმრებისთვის ერიკ და ბეტი უოლკერებს გაემალათ და რომელიც ალბათ ყველა დროის ყველაზე მდიდრული

სუფრა იყო ხეზე გაშლილ სუფრათაგან და ეს ყველაფერი, პირველ ყოვლისა, თავად იმ სუფრის ნეერებმა შეაფასეს და დააფასეს, რომელთაც სუფრა ჰაერზე იმდენხანს ყოფნის შემდეგ კარგა გვარიან მოშეობდათ და დასტურ ისიამოვნეს მშვენიერი კერძებით — უგემრიელესი სუპითა თუ შემწვარი იხვით, რისთვისაც ტრიტოპსის შეფ-მზარეულმა ლადისლაო ნგანგამ მათი გულწრფელი მადლობა დაიმსახურა, რასაც იგი მრავალი წლის შემდეგ, უკვე 92 წლისა, სიამაყით გაიხსენებს ინტერვიუში ბიბისის რეპორტიორ ენდრიუ ჰარდინგთან და იმასაც უამბობს ამ უკანასკნელს, როგორ ნაიყვანეს ის და ტრიტოპსის მთელი მომსახურე პერსონალი სამეფო ვიზიტის წინ ჰოსპიტალში და როგორ გულმოდგინედ გასინჯეს თითოეული მათგანი, რომ რაიმე ინფექცია არ ჰქონოდათ, და როგორ საგანგებოდ მოამზადეს ისინი მალალი სტუმრების მისაღებად, რომლებმაც, როგორც ვეროპის საუკეთესო სახლებშია მიღებული, სადილის შემდეგ მადლობა არ დაიშურეს შეფ-მზარეულის მიმართ, და ის იყო, სუფრაზე ყავა უნდა შემოეტანათ, რომ უცებ სპირტურა ააღდა და ცეცხლი ჯერ სუფრას მოედო, მერე მის კიდეს ჩამოჰყვა და იატაკზე დაფენილ ჭილოფსაც მისწვდა და ამ დროს იმარჯვა კენიელმა მსახურმა ბიჭმა, ცალი ხელით წელის გრაფინს სწვდა, მეორე ხელი რალაც სამოსს ნამოავლო, დაასველა და სანამ სტუმრები და მასპინძლები შემინებას მოასწრებდნენ, ხანძარი ჩააქრო და სპირტურაც სწრაფადვე კვლავ აანთო, რითაც დამსწრეთა შექება დაიმსახურა, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი სახელი ისტორიას არ შემორჩენია, ან მე ვერ მივაკვლიე, ხოლო მამინ, რა თქმა უნდა, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ამ ამბიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ეს ბიჭი მთელი თავისი ავადიდებით და სამზარეულოს ჯამ-ჭურჭლიანად გაქრებოდა ისე, რომ მის ასავალ-დასავალს ვერავინ მიაგნებდა და ეს მოხდებოდა სასტუმროს გადაწვამდე, მამინ, როცა აჯანყებულებმა ტრიტოპსი უბრალოდ დაარბიეს და კორბეტი თავის ბროშურაში ივარაუდებდა, რომ იგი ან ამ ნივთების ხელში ჩასაგდებად მოიტაცეს და მერე მოკლეს, ან თავადაც მაუ-მაუს მებრძოლებს შეუერთდა, რომელთაც კორბეტი ტერორისტებად მოიხსენიებს, ხოლო იმ საღამოს ის ბიჭი ბედნიერი იდგა მაგიდის კიდესთან და მონივრით შესცქეროდა მთვარისა და სანთლების შუქზე კიდევ უფრო გალამაზებულ პრინციესას, რომელიც სადილის შემდეგ კვლავ ვერანდაზე გავიდა მეუღლესთან ერთად, რათა ძილის წინ კიდევ ერთხელ შეეველოთ თავი წყალსატევისთვის, რომლის გარშემო ნადირ-ფრინველი გვარიანად შეთხერხებულიყო და ხუთიოდე მარტორქა იყო დარჩენილი, თუმცა ისინიც, ტრიტოპსის სტუმარ-მასპინძლის მსგავსად, დასაძინებლად ემზადებოდნენ, ხოლო მანამდე, როცა მაგიდიდან წარმოშლნენ, ჯიმ კორბეტმა მადლობა გადაიხადა სადილზე მიპატიჟებისთვის, ყველას ძილინებისა უსურვა, თბილი ქურთუკი მოიხურა და თავისი მრავალნაციადი თოფით ხელში მოხერხებულად მოეწყო ოცდახუთფუტიანი კიბის სულ ზემოთა საფეხურზე, ბედნიერი იმით, რომ ილაბლამა თუნდაც ერთი ღამით ისეთი საპატიო მისია დააკისრა, როგორიც დიდი ბრიტანეთის ახალგაზრდა და მშვენიერი პრინციესის სიმშვიდისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო და სწორედ მამინ, როცა კორბეტი ტრიტოპსის კიბის სულ ზედა საფეხურზე მოკალათდა თავის თოფთან, მე ისევ მომეჩვენა, რომ ჯიმ კორბეტი ვიყავი და სწორედ მე ვიჯექი ტრიტოპსის კიბეზე ან იქნებ ყველაფერი სულაც პირიქით მოხდა და, მე კი არა, კიბეზე მჯდარ კორბეტს მოეჩვენა, რომ ის გადაიქცა პაატა ნაცვლიშვილად, რომელიც 67 წლის შემდეგ თავის მეუღლესთან და ქართველ-სტრალიელ მეგობრებთან ერთად ჩავა კენიაში, 25-26 ნოემბერს ერთი ღამით ტრიტოპსში დარჩება და მამინ, როცა მთელი სასტუმრო დაიძინებ, ისიც ძილ-ბურანში წასული, თითქმის იმგვარადვე მოიკალათებს ტრიტოპსის კიბის სულ ზედა საფეხურზე, როგორც კორბეტი 67 წლის წინათ, ოღონდ თოფის ნაცვლად ხელთ ფოტოაპარატი ეჭირება, იმის იმედით, რომ იქნებ ახლა მაინც გამოჩენილიყო ის ლეოპარდი, რომლის გამოც იმ ღამეს კორბეტი ასე დაიძაბა, რადგან იგრძნო, რომ ცხოველი, რომლის გამოჩენას წლების შემდეგ სას-

ტუმროს მკვიდრთ ხუთგზისი სირენით აუწყებდნენ, რომლის ნაკვალავი მან დილითვე ნახა და რომელმაც მერე დაჭრილი ანტილოპა ნაანიალა, სადღაც იქვე ტრიალებდა და თუ კიბეზე ახტომას არ ცდილობდა, მხოლოდ იმიტომ, რომ კუნაპეტ სიბნელეშიც კარგად ხედავდა კიბის თავში მჯდარ ადამიანს, მაგრამ ის ლეოპარდი 67 წელიწადს იქ ვერ მოიცილდა და არც მოუცდია და არც გამოჩენილა და ის ფოტოკამერაც სულ უქმად მეჭირა ხელში, თუმცა მიდამო ისე იყო განათებული პროექტორებით, რომ ოლონდ ნადირი გამოჩენილიყო და დამატებითი განათებაც არ დამჭირდებოდა, ისე გამოვამწყვდევდი ან ჩემს ნიკონში, ხოლო მაშინ, იმ საღამოს, როცა იმ კენიელი ბიჭის კვალად, მეც თვალი გაავალო ვერანდისკენ მიმავალ პრინცესას, როცა ის ჩემი თბილი ქურთუკი მოვიხურე, როცა გარეთ გამოვედი და თოვით ხელში კიბის თავში მოვკალათდი, მთვარე ისე სწრაფად მოეფარა ღრუბლებს, კარგა ხანს თვალი ვერ შევაჩვიე სიბნელეს და როდესაც შევაჩვიე, ვერაფერი დავინახე იდუმალი სიჩუმის გარდა და ტანში ჟრუანტელად დამიარა იმის შეგნების სიხარულმა, რომ ბედმა თუნდაც ერთი ღამით ისეთი საპატო მისია დამაკისრა, როგორც დიდი ბრიტანეთის ახალგაზრდა და მშვენიერი პრინცესის სიმშვიდისა და უსაფრთხოების დაცვა იყო და — „მე არ მეძინა, ვფიზიოლოგიის, შენს ძილს ვუდევქი თითქოს დარაჯად“ — თითქმის ხმამალა ვიმეორებდი და ვიმეორებდი და ვიმეორებდი ამ ერთ სტრიქონს ჩემი ძველისძველიძველი ლექსიდან, რომელიც სულაც არ ეძღვნებოდა პრინცესას და არა იმიტომ, რომ იგი უფრო გვიან შემეყვარდა, ვიდრე ეს ლექსი დაინერგოდა, უბრალოდ, როცა პრინცესა შემეყვარდა, ლექსების მხოლოდ მკითხველი ვიყავი და თუ რამეს ვნერდი, ისეთს არაფერს, რომ ტრიტოპსში გასახსენებლად ღირებულიყო, ან რა უნდა დამენერა ღირებული, როცა მხოლოდ მერვეკლასელი ვიყავი და ჩემი სიყვარულები არა რეალურად დამიანებს, არამედ იმ დროის ისეთ ცნობად კინოვარსკვლავებს უკავშირდებოდა, როგორებიც იყვნენ — არც კი ვიცი, რა თანმიმდევრობით გავიხსენო — ჯინა ლოლობრიჯიდა და ბრიჯიდ ბარდო, კლაუდია კარდინალე და მიშელ მერსიე, ელიზაბეთ ტელიორი და რომი შნაიდერი, ბეატა ტიშკევიჩი და მარინა ვლადი, კეტრინ დენევი და მონიკა ვიტი, რეკელ უელჩი და ფეი დენეუეი, ლუჩია ბოზე და ვირნა ლიზი, სტეფანია სანდრელი და სარა მონტიელი, ალიკი ვიუიკლაკი და ირინა პეტრესკუ, ნატალი ვუდი და ჯული ენდრიუსი, ჯოანა მიმუუსი და კიდევ სხვები, რომლებიც აქ არ მახსენდება და გამომჩნა, მაგრამ სოფი ლორენი არა, არ გამომჩნია, ის მე უბრალოდ არც მიყვარდა და არც მომწონდა, თუმცა მშვენიერი ტან-ფეხი და ძუძუ-გული ჰქონდა, მაგრამ ჩემს თვალში ეს ვერაფრით აბალანსებდა მის ბაყაყივით პირს, ისევე როგორც არ მომწონდა ანუკ ემე, მისი სახის რამდენადმე ნაწვეტებული ნაკვთების გამო, თუმცა ის, ვგონებ, სულაც პირველი ქალი იყო, ვისი მართლა მშვენიერი შიშველი სხეულიც ეკრანზე ვნახე საბჭოთა ცენზურის თუ პარტიული ზნეობრივი პოლიციის მიერ უმოწყალოდ დაჩეხილ ფილმში „ქალი და მამაკაცი“, ან შეიძლება მეშლება და პირველი ირინა პეტრესკუ იყო, დღეს აღარარსებულ კინოთეატრ „გაზაფხულში“ რომ გამიშვლდა ჩემს თვალწინ მოსკოვის კინოფესტივალიდან ჩამოტანილ ფილმში „ქალი ერთი სეზონით“, მაგრამ განსხვავება ის გახლდათ, რომ პეტრესკუ მომწონდა და მიყვარდა, ანუკ ემე კი არა, და ამ არმონონებათა მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მე მაშინ გარეგნულ სრულყოფილებას ვაფასებდი ძირითადად და არა კინოვარსკვლავთა მსახიობურ ოსტატობას, თორემ მსახიობური კრიტერიუმებით ყველაზე უნინ ალბათ ვუღიებდა მაზინა თუ ანა მანიანი უნდა მიყვარებოდა, ან მარლენ დიტრიხი თუ ვივიენ ლი, ან ინგრიდ ბერგმანი თუ ანი ჟირარდო, ან ჟანა მორო თუ ავა გარდენი, ან კიდევ რომელიმე სხვა, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ზოგიერთი ჩემი შეყვარებული ეკრანზეც კი არ მყავდა მაშინ ნანახი, და მხოლოდ იმ შავ-თეთრი და უხარისხო ფოტოების მიხედვით ვაფასებდი, ჩუმად რომ ვყიდულობდი ხოლმე ერთ საპოზიკთან გადასასვლელი ხიდის ნახალოვკის მხარეს და ზოგიერთი არც კი მახსოვს დაზუსტებით, როდის შე-



მიყვარდა ან რატომ მიყვარდა, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ ვინც არ უნდა მომწონებოდა და ვინც არ უნდა მყვარებოდა ამა თუ იმ ფოტოს თუ ამა თუ იმ ფილმის შემდეგ, ოდრი ჰეპბერნს ვერასოდეს ვერავინ სჯობდა, ვერც გარეგნობით, ვერც იდუმალი აურიითა და ვერც ნიჭით თუ ოსტატობით, იქიდან მოყოლებული, რაც მე იგი პრინცესა ანას როლში ვნახე „რომამული ადრადეგებში“, ან იქნებ ჩემი გამორჩეული სიყვარული მისდამი სწორედ ამ ფილმისა და ამ როლის დამახსოვრება იყო, და არ ვიცი რატომ, მაგრამ ძალიან გამიხარდა, როდესაც გავიგე, რომ თავად ოდრი ჰეპბერნიც მთლად პრინცესა არა, მაგრამ დიდგვაროვანთა შთამომავალი კი ყოფილა და მისი ჰოლანდიელი დედა სულაც ბარონესა ბრძანდებოდა, რაც, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება გრეის კელის ნამდვილ პრინცესობას, უფრო სწორად — ნამდვილ გაპრინცესებას, როცა ჰოლანდიელი ვარსკვლავი მონაკოს მთავარმა რენე მესამემ ცოლად შეირთო და ვარსკვლავთვარსკვლავად აქცია, მაგრამ მე მაშინ, იმ ჩემი ვირტუალური შეყვარებულობის დროს, არაფერი ვიცოდი არც მონაკოს პრინცზე და არც გრეის კელიზე, რომელიც არც ფილმში მენახა და არც ფოტოზე, თორემ ვინ იცის, ელიზაბეთზე მეტად ის შემეყვარებოდა, ხოლო რაც შეეხება ელიზაბეთს, მე ის საფოსტო მარკებიდან შემეყვარდა, რაკი-და მაშინ უკვე დაინტერესებული ვიყავი ფილატელით და მსოფლიოს ყველა ქვეყნის მარკების შეგროვება მქონდა გადაწყვეტილი, ყოველი ქვეყნის თითო მარკისა მაინც, რომელთაგან განსაკუთრებით ინგლისის კოლონიების მარკები მიზიდავდა თავიანთი გეოგრაფიით, დიზაინით, ხარისხითა და ეგზოტიკურობით, თანაც ეს მარკები გაცილებით ძველი საშოვნელი იყო, ვიდრე, ვთქვათ, პოლონეთის, ბულგარეთისა თუ უნგრეთის დასტურ ფერადოვანი, პეპლებიანი თუ ყვავილებიანი მარკები, ხოლო ბრიტანეთის კოლონიების, ისე როგორც საკუთრივ დიდი ბრიტანეთის ყველა საფოსტო მარკაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო დიდი ბრიტანეთის მონარქის პორტრეტი, იმის მიუხედავად, რას ეძღვნებოდა მარკა და რა იყო მისი ძირითადი სიუჟეტი, და ეს ტრადიცია დღემდე უცვლელია, ხოლო 1952 წლიდან მოყოლებული, მას მერე, რაც 8 თებერვალს სანახევროდ დაშვებული დროშების ფონზე სენტ-ჯეიმის სასახლეში ელიზაბეთმა თავად გამოაცხადა თავისი თავი მონარქად და სიტყვე-

ბით, — „მამაჩემის უეცარი გარდაცვალების გამო, მონობებული ვარ, ვიკისრო სუვერენის უფლებანი და მოვალეობანი“, — ქვეშევრდომებს მამამისიგით დაულაღვი მუშაკობა აღუთქვა, რაგინდარა თემატიკის ინგლისურ მარკაზე აუცილებლად არის გამოსახული ელიზაბეთ მეორის ოფიციალური პორტრეტი, უმეტეს შემთხვევაში, პატარა ოვალურ ჩარჩოში ჩასმული მონოქრომატული პროფილის სახით, რომელზეც დედოფალი ისევ ის 25 წლის ახალგაზრდა ქალია, როგორც იყო 1952 წლის თებერვალში, როცა დიდი ბრიტანეთის მთავარმა ცერემონიასტერმა და ჰერალდმა, შუა საუკუნეების სამოსში გამოწყობილმა სერ ჯორჯ ბილიუმ ჯერ სენტ-ჯეიმის სასახლის აივანიდან და მერე ლონდონის სამ სხვადასხვა ადგილას — ტრაფალგარ-სკვერზე, ფლიტ-სტრიტსა და სამეფო ბორჟაზე ნაიკითხა დეკლარაცია ელიზაბეთის ალტარების შესახებ და როცა, სხვათა შორის, ერთ-ერთ იტალიურ გაზეთში ყველა დროის ულამაზეს ქალად სილვანა პამპანი ალიარეს, ჩემი კიდევ ერთი ვირტუალური შეყვარებული, რომელიც ზემორე ჩამოთვლისას რატომღაც გამომჩნა, ალბათ სიჩქარის გამო, არადა, სადაც სამართალია, სწორედ ის არ უნდა გამომჩნეოდა, რადგან ჩემს თვალში მას დიდი უპირატესობა ჰქონდა ჩემს სხვა მაშინდელ სიყვარულებთან შედარებით, რაკი უამრავი მთხოვნელის მიუხედავად, გასათხოვარი იყო და, როგორც მისი ნეკროლოგიდან გავიგე ამ სამიოდელ წლის წინათ, როცა ის გარდაიცვალა 90 წლისა, არც არასოდეს გათხოვიდა, განსხვავებით ჩემი სხვა წარმოსახვითი შეყვარებულებისგან, რომელთა დიდი ნაწილი, ერთხელ და ორჯერ კი არა, რამდენჯერმე იყო გათხოვილ-გამოთხოვილი და, ტრიტოპსის კიბეზე რა დროს ამის გახსენება იყო, მაგრამ რატომღაც გამახსენდა, როგორ ვიქვჩივანე უკანა რიცხვით და როგორ შემეშურდა ასევე ძველი თარიღით ფრანგი თუ რუსი რეჟისორის და პლემბის, ქალიშვილების გულთამყობების და სხეულთამყობების როჟე ვადიმ, იმავე ვადიმ პლემბანნიკოვისა, როცა იგივე, რომ იგი პირველი ქმარი იყო ბრიჯიდ ბარდოსიც, კეტრინ დენევისაც და ჯეინ ფონდასიც, რომელთა სახელები თავისი მოგონებების წიგნის ქვესათაურში გამოუტანია, სამი დანარჩენი ცოლი კი — სამი სხვა კინოვარსკვლავი, დანიელი ანეტ სტრომბერგი, ამერიკელი კეტრინ შნაიდერი და ფრანგი მარი-კრის-

ტინ ბარო — არათუ სათაურში ან ქვესათაურში, ტექსტიც სხვათა შორის ჰყავს ნახსენები, ალბათ იმიტომ, რომ მათთვის პირველი ქმარი არ ყოფილა, ხოლო სილვი კრისტელი, იმ სკანდალური ფილმის ის ცნობილი ემანუელა, რომელიც ჯეინ ფონდასა და კეტრინ შნაიდერს შორის საყვარლად ჰყოლია ამ თავხედსა და ბედის ნებერს, ანდრე ჟიდის მიერ დაწვრილ მოყვარულ მწერალს, სულაც არ უხსენებია, და მოდი და, რაგინდ უკანა რიცხვით, მართლა ნუ შეშურდება მისი ოფიციალური თუ არაოფიციალური სასიყვარულო თავგადასავლებისა გადასასვლელი ხიდის ბოლოში ჩუმად ნაყიდი და სკოლის ჩანთაში მოყურებული უხარისხო ფოტოებით მონუსხულ თბილისელ ბიჭს, როცა მრავალი წლის შემდეგ როჟე ვადიმის წიგნს ნაიკითხავს, რომელსაც „ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე“ ჰქვია და რომლიდანაც ნებისმიერ ფილმზე უფრო სასურველი და რეალური ჩანან 16 წლის ბრიჯიდ ბარდოც, 16 წლის კეტრინ დენევიც და 22 წლის ჯეინ ფონდაც, რაკი არავის როლს არ თამაშობენ და მოდი და, ნუ დაიმშვიდებ თავის იმით, რომ როცა შენ პირველი და ერთადერთი და საყვარელი ცოლი მოიყვანე, ისიც 18 წლისა იყო და შენც დაახლოებით იმავე ასაკში იყავი, რა ასაკშიც ის ვარსკვლავთმწყვეტელი ბრძანდებოდა, როცა 18 წლის ბრიჯიდ ბარდო მოიყვანა ცოლად 1952 წელს, შენი დაბადების წელს, როცა შენი გამორჩეული შეყვარებული, პრინცესა ელიზაბეთი ის-ის იყო გადედოფლდა, როცა მისმა პროფილმა ინგლისისა და მისი კოლონიების საფოსტო მარკებზე მამამისის ოფიციალური მონოქრომატული პორტრეტი ჩაანაცვლა და როცა დიდ ბრიტანეთში არცერთი მეფე და ერთდროულად სამი დედოფალი იყო და როცა პითროუს აეროპორტიდან კლარენსის ჰაუსში, სენტ-ჯეიმის სასახლეში მიბრუნებულ ელიზაბეთს ბებიამისი, დედოფალი მერი შეეგება, ოდესღაც ვიურტემბურგის პრინცესა მარია, ერთადერთი დედოფალი ბრიტანეთის სამეფოს მრავალწლოვან ისტორიაში, ვინც შვილიშვილის ტახტზე ასვლას მოეწონო, და ვინც იმ დღეს დაიფინა, ახალი დედოფლის ხელს სამეფო სახელუდიდან პირველი მე უნდა ვეამბოროო და ქვეშევრდომულად ხელზე ემთხვია შვილიშვილს, რომელიც ვინ იცის, რამდენჯერმე მჯდარა მის კალთაში ჯერ კიდევ მაშინ, როცა დიდი ბრიტანეთისა და მისი ათეულობით კოლონიის საფოსტო მარკებზე მისი მეუღლის, ჯორჯ მეორის პორტრეტი ეხატა, თუმცა გრინის ვირუსი რომ არა, შეიძლებოდა ჯორჯის უფროსი ძმის, ალბერტ-ედუარდის პორტრეტი ყოფილიყო დახატული, რომელიც პირველი იყო ტახტის მემკვიდრეთა რიგში, მაგრამ 1892 წელს გრინის პანდემიამ იმსხვეპლა 28 წლისა და რომელზეც სხვათა შორის, იმ დროისათვის უკვე დანიშნული ყოფილა ვიურტემბურგის პრინცესა მარია, ვინც დანიშნულის სიკვდილის შემდეგ მის უმცროს ძმას მისთხოვდა და ვისაც ამის გამო მაინც არ ასცდა ბრიტანეთის დედოფლობა და ამდენად, საფოსტო მარკებზე ყველა შემთხვევაში მისი ქმარი იქნებოდა გამოსახული და იმ საარაკო საოკეანო ლაინერსაც, რომლითაც მისი პირველი და მოძულეული შვილი, ედუარდ მერვე მეფედყოფილი, ორ ჯორჯს შორის ჩაკვეთებული უინძორის პრინცი, თავისი ძმის დაკრძალვაზე კოლონდონში ჩავიდა ნიუ-იორკიდან 1952 წელს, ყველა შემთხვევაში „ქუინ მერი“ — „დედოფალი მერი“ ერქმეოდა და ეს მრავალმხრივ გამორჩეული დედოფალი, რომელიც 1953 წელს გარდაიცვალა 85 წლისა, ელიზაბეთის ტახტზე ასვლისას ერთადერთი იყო სამეფო სახელუდიდან, ვისაც ცხოვლად ახსოვდა დიდი ბრიტანეთის ისტორიის ის ხანა, რომელსაც ვიქტორიანიული ჰქვია და როცა ბრიტანეთის იმპერიაში მზე მართლა არასოდეს ჩადიოდა და დიდი ბრიტანეთისა და მისი კოლონიების საფოსტო მარკებზე დედოფალი ვიქტორია ეხატა, ვინც ბრიტანელ მონარქთაგან ყველაზე ახალგაზრდა, 18 წლისა ავიდა ტახტზე, და თუმცა მისი ეს რეკორდი 25 წლის ელიზაბეთ მეორემ ვერც გააუმჯობესა და ვერც გაიმეორა, სამაგიეროდ, მან მოხსნა თავისი დიდი ბებების მეორე რეკორდი, როცა უკვე 2015 წელს გადააჭარბა მას ტახტზე ყოფნის ხანგრძლივობით, რაც ვიქტორიას შემთხვევაში 63 წელი და 217 დღე იყო,



ლუის გლიკი

დამხრევალი პაპოპეაზი

ხედავ, გონს კარგავენ,
იხრჩობიან, რაღა თქმა უნდა.
ჯერ ყინვა აიტანთ, მერე კი მათი მოტივტივე
მატყლის შალები მათთან ერთად დაინთქმებიან
ფსკერზე თანდათან.
ტბორი კი თავის შავი მკლავებით
მათ სხეულებს ამოსწევს მალლა.
თუმცა სიკვდილი მათ დაბრუნებას
სხვაფრივ ეცდება. სადღაც თავიდან:
თითქოს იმთავით, უთვალისწინო და უწონონი
დანარჩენს უკვე სიზმრად ხედავენ —
ლამფასა და ქათქათა ნაჭერს,
გადაფარებულს მაგიდაზე, მათ სხეულებზე.

სანამ ჯერ კიდევ ესმით ჩვენი,
და ანკესების გრძნობენ ტივტივებს:
რას ელით, დაბრუნდით,
დაბრუნდით სახლში,
დაკარგულეო მარადიულ
მოლურჯო ნყლებში.

მოსხტიალა პარსაფონა
კრებულიდან „აპირნო“

პირველწყარო.
პერსეფონე მოსტაცეს დედას,
ხოლო ქალღმერთი — დედა მიწისა —
სჯის დედამიწას — სწორედ ეს ქცევა
გამოარჩევს ადამიანს ალბათ სხვათაგან,
რომ სიავის ქმნა ოდიტგანვე ჰგერის ნეტარებას,
განსაკუთრებით არაცნობიერ წიაღს ვნებათა.

დავარქვათ ამას ნეგატივი
კაცთა შესაქმის.

პერსეფონეს ჩასვლა ჯოჯოხეთს,
ქალწულბრივი განცდები მისი
სწავლულთა დავას ინვეს აქამდე:
თანაუგრძნობდა კაცს მოძალადეს,
თუ გაბრუებულს დასტყუეს ვნება,
როგორც ეს ახლა, თანამედროვე
გოგონების ყოფაში ხდება.

როგორც იტყვიან — „შეყვარებულის
დაბრუნებას ვერცრით ამართლებს
მისი დაკარგვის შიშით ქმედება“:
თუმც პერსეფონე შინ, როგორც ითქვა,
კუნელის ნითელი ლაქით დასვრილი დაბრუნდა.

ვერ შეგპირდებით, გვერდს ავუვლი
მის ამ უსუსურ თავის მართლებას:
სახლია მისთვის ეს დედამიწა?
შინ არის იგი? ეიმედება ღმერთის საწოლი?
იქნება, ყველგან მისი სახლია?
მოხეტიალედ ხომ არ იშვა სხვა სამყაროში,
ყოფითი ასლი თავის დედისა,
ნაკლებ მახინჯი მხოლოდ დროის გამოისობით.

შენ შეგიძლია, არ მოგწონდეს არცერთი გმირი,
ის ხალხს არც ნიშნავს —
თვალსაზრისის კონფლიქტის და კაცთა დილემის.

სულის სამი შრე:
ვითარც ეგო, სუპერ ეგო, იდი ლტოლვების,
სამი დონე ცნობიერების,
ვით დიარგამა:
სასუფეველი — დედამიწა და ჯოჯოხეთი.

თავს უნდა ჰკითხო —
სად თოვს ხოლმე?
გულმავინყოფას, ბილწს და ვერაგს,
რა გაათეთრებს?
ქარი გეტყვის —
თოვლი მინაზე.

პერსეფონესაც ექნებოდა სექსი ჯოჯოხეთს.
თუმც, განსხვავებით მიწიერთაგან,
მან არ იცის, რაა ზამთარი,
გარდა მიზეზთა მისი დადგომის.

რას ფიქრობს ნეტა
ქმრის სარეცელზე მწოლიარე?
რა შიშს მოუცავს?
რა ნაუშლია მეხსიერებას?

ნამდვილად იცის,
რომ დედამიწა დედიტა და
არც თვითონ გახლავთ
ვინმე ინგერი*.

რაც შეეხება მიწის ქვეშ ცხოვრებას,
არც მალლა ულხინდა:
ქალიშვილობაც ჰქონდა ტუსალის.

*ინგერი — Inger — სკანდინავიური ზედსახელი. ამ შემთხვევაში, ვინმე უსახელო, გადამთიელი.

შემდეგი ნომერი
გამოვა 22 იანვარს

გაღნიშვნა

თეთრ საწოლზე ქალს და კაცს სძინავდა.
დილაა. ვფიქრობ,
მალე გაეღვიძებათ.
საწოლის გვერდით
მაგიდაზე მდგარ ვაზაში
ყელყელაობს მზენამდგარი
თეთრი შროშანი.
თვალს ვერ ვაცილებ...

ვხედავ, კაცმა გვერდი იცვალა.
ქალს გადახედა.
და, რომ მეგონა
ქალის სახელს გავიგონებდი,
თითქოს უჩუმრად
ფანჯრის რაფაზე მჯდარმა ჩიტმა
ერთი-ორჯერ უხმო ქალის ხმით.

ის შეიშმუნა. მისი სხეული
კაცის სუნთქვის ვნებით გაჯერდა.

თვალეებს ვახელ. შენ შემომყურებ.
მზის ანარეკლი ავსებს ჩვენს ოთახს.
შეხე შენ სახეს! — მეუბნები და შენი სახე
სარკესავით სულ ახლოს მოგაქვს.
მშვიდი ხარ როგორი...
და ნეტარების ცხელი აღმურთი
ორივეს მშვიდად გვერევა თავგზა.

ველური ზამბახი

ჩემს ტკივილს კარი ება ბოლოში.
ჰოდა, კარგად დამიგდე ყური:
სიკვდილს რომ ეძახი,
იქიდან მახსოვს.
მალლით ჩქამიც, ნაძვის ტოტების ტკაცატკუციც-
მერე აღარც ის.
მერე კი თითქოს მზის ნამცვრევი გამშრალ მიწაზე.
შემზარავია გადარჩენა,
როცა ცნობიერს აყრია ბელტი.
და მერე, როცა ესეც გაივლის,
გიჩნდება შიში:
რომ შენ, სულიერს, ლაპარაკი არ შეგიძლია.
ძალადობრივი აღსასრულით
დანეულ მიწის.
ნუთუ მომესმა მალლა ჩირგვებში
მოხტუნავე ჩიტების ჩქამი.
და შენ კი, ვისაც აღარ გახსოვს,
იმ სამყაროდან აქ როგორ მოხვდი,
შემიძლია, აქაც გითხრა სათქმელი ერთი:
დავინყებიდან ვინც კი მობრუნდა,
ხმის საძებნელად მობრუნდა-მეთქი:

ჩემი ცხოვრების შუაგულიდან
საუცხოო დის შადრევანი,
ზღვისფერ ლაჟვარდში მოლივლივე
ლურჯი ჩრდილებით.

თარგმან ნანა გომოლაშვილმა

